K 241157
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა სოლოღაშვილი

# კახეთის სამეფო კონსტანტინე–მაჰმადყულიხანის მეფობის პერიოდში (1722–1732 წწ.)

F 79818
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა სოლოლაშვილი

# კახეთის სამეფო კონსტანტინე - მაჰმადყულიხანის მეფობის პერიოდში (1722 - 1732 წ.წ.)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი · 1993

63 3 (2 ქ) 2
ს 657

ნაშრომში განხილულია კახეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორია კახეთის მეფე კონსტანტინე-მაჰმადყულიხანის მეფობის პერიოდში.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი დოც. გ. იოჭყაშვილი
რეცენზენტი პროფ. ნ. ასათიანი

K 241157

შემოწმებულია
ხაზ 2002

C თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993
ს 0503020906

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კახეთის სამეფო კონსტანტინე - მაჰმადყულიხანის მეფობის პერიოდში (1722-1732 წწ.)

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა, ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, მეტად მძიმე და დაძაბული იყო. ამ დროს კახეთის მოსახლეობა თავდაუზოგავად იბრძვის ლეკებისა და ოსმალების წინააღმდეგ. ასევე ხშირია ქართლისა და კახეთის მოსახლეობის ურთიერთშეტაკებები, იმის გამო, რომ ვერაფრით ვერ მოხერხდა ქართლისა და კახეთის მეფეების შეთანხმება გარეშე მტერთან ერთობლივი საბრძოლო მოქმედების შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიზნად დავისახეთ შედარებით სრულად წარმოგვეჩინა კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა კონსტანტინე მაჰმადყულიხანის მეფობის დროს 1722-1732 წლებში. ეს ნაშრომი არის გაგრძელება ჩვენ მიერ 1992 წელს გამოქვეყნებული წიგნის "კახეთი XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში".

სეხნია ჩხეიძის მიხედვით, როდესაც ირანის შაჰის ბრძანებით ვახტანგ VI ლეკების წინააღმდეგ გაემართა, იგი კახეთს მოვიდა მაღაროს (ქიზიყში), რათა კახეთის ჯარიც თან წაეყვანა: "მოუვიდა მეფეს ვახტანგს წყალობა უშურველი და უბრძანათ ლეკთ მოხდომა და მოწყვეტა. შეიყარა სპა-ლაშქარი ურიცხვი, წაბძანდა კახეთზე და მიბძანდა მაღაროს. კახეთს პატრონობდა ძე მეფისა [ერეკლესი] იმანყული ხან, თვით სნეულებით შეპყრობილ-იყო და აახლო ძმა თვისი თეიმურაზ, სიძე მეფის ვახტანგისა, ლეგა ცხენი ჯ-ფისა, შვენიერი და ქება მიუწთომელი თანაც და შეერთეყარა კახთ ჯარი" (40, გვ. 32).

მაგრამ ეს ლაშქრობა არ შედგა, რადგან ირანი შაჰი შეშინდა, რომ თუ ვახტანგი ლეკებს დაამარცხებდა, იგი არ ქართულ ქვეყა-

ნას (საინგილოს) ისევ საქართველოს შემოუერთებდა: "თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო". ვახტანგის დაგინალ ლეკებზე ლაშქრობა შარვან-შაჰს დაავალა, მაგრამ ეს უკანასკნელი (ვიდრე მას "კახნი შეეყრებოდნენ" ლეკებმა სასწრაფოდ დაამარცხეს, მოკლეს შირვან-ხანი. ამის შემდეგ ლეკები "მოუხდენ კახეთსა და დაიმონეს და გაალეკეს კახეთი" (40, გვ. 33).

ამასობაში, 1722 წლის გაზაფხულზე (16, გვ. 618) გარდაიცვალა კახეთის მეფე დავით იმამყული      ამის შემდეგ ვიდრე ირანიდან ბრძანება მოვიდოდა, კახეთს განაგებდა თეიმურაზ ბატონიშვილი, იმამყულიხანის უმცროსი ძმა. ივი ქვეყანას განაგებდა დავით II (იმამყულიხანის) ცოლთან ჯაჰან-ბეგუმთან ერთად. თვითონ იმამყულიხანს ორი ვაჟიშვილი (მაჰმად-მირზა და ალი-მირზა) და ერთი ქალიშვილი დარჩა. (92, გვ. 231).

თეიმურაზის მმართველობის დროს კახეთში გრძელდება ლეკების შემოსევები. მაგალითად, ამ დროს ლეკებს აუოხრებიათ თიანეთი. ვახუშტის გადმოცემით, თეიმურაზი სათავეში ჩაუდგა კახელებს და დაამარცხა ლეკების ჯარი. ლეკების მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს გაქცევით (16, გვ. 618). თეიმურაზს ერთგულად უჭერდა მხარს მისი სიმამრი, ქართლის მეფე ვახტანგ VI. მას კახეთში თეიმურაზის გამეფება სურდა. ვახტანგს თეიმურაზისათვის წერილიც მიუწერია, – რომ არ დაეთმო კახეთის ტახტი ერეკლე ნაზარალიხანის უკანონო შვილის კონსტანტინესათვის, მაგრამ თეიმურაზი, როგორც დ. მეგრელაძე ვარაუდობს "შაჰის რისხვას მოერიდა" (26, გვ. 169) და ვახტანგის წინადადება შორს დაიჭირა. ამას ვახტანგ VI გაუნაწყენებია. ყოველივე ეს კარგად ჩანს თეიმურაზის მიერ გაგზავნილი საპასუხო წერილიდან ვახტანგ VI-სადმი, რომელშიც იგი ხსნის თავის ამ გადაწყვეტილების მიზეზს და კახეთში შექმნილ ვითარებას: "...ასე წიგნი გეძიძათ, რაც გებძანათ ყველა გავიგონე, ღმერთი

მამეცეს თავდებათ,- რაც წმინდანი ღთისანი არიან იმათივ მეოხებუ-ლი ვიქნები, თქვენიმც თავი მამიკვდება და ღმერთმან თქვენი შა-უბრალებელი მაწყლას, თუ რასაც ჩემს დარბაისელთ-ეპისკოპოზთ ჩემთ-ვის ბატონობა დაემალოს, ან ჩემის ძმის ბატონობა ეჩრიოსთ და იმის ნისაცემლად კახეთი მოენდომებინოსთ, თითქმის ჩემის ძმის სი-ცოცხლეში ჩემთვის უნდოდათ. ანათში გამზრდილვარ და აქათგან ნაქირ-ნაწუღევი. ესენი მაგას როდის მიიჩევდენ, მაგრამ მე ჩემის გუნე-ბით დავინახე და მივხვდი, რომე გამეგონა და მესმოდა: ორნი ძმანი იყვნენ იმამყულიხან და მამადყულიხან, ერთად დაბადებულნი, ერთად გაზრდილნი, კ.რთხეულმა მამაჩემმა კინაღამ იმისის თავაზით კახეთი იმას უბოძა, - უფროსი არის და დღეს აქამდი ცუდ შერთმ-წყრალდავით იყო: "ძმისა ბატონობა არ მითავაზო". მაგრამ ჩემი ძმა კურთხეული იმამყულიხან მშვიდი კაცი ბრძანდებოდა და კაის საქმით ამშვიდებდა. ახლა მაგისი რა ჩნევა მინდოდა, რომე მამადყულიხა-ნის საწყენს თუ რასმე ვიქმოდი, ან უკითხავეს-დამემძღერებოდა და ჩემს საქმეს გზას არ წაიყვანდა და ბიზლებითაც არ მოისვენებდა, თუ რგება და მოხმარება შაუძლიან, - დარბაისება უფრო არ შაუძლი-ან! ერთი ერანში გამორჩენილი კაცი ისიც არის. სიყრმითვან ხელმ-წიფეს სულ ბეგობაში ყვანდა და ახლა შვიდი-რვა წელიწადია თავის ტახტზე უჯდა. მამაჩემი არ უძახოდა ნაბიჭვარს, ჩემი ძმა და ხელმ-წიფე ნაბიჭვრობით არას პატივს აკლებს, ახლა მე როგორ დავუძახო ნა-ბიჭვარი და ხმალზე დაუდგე! აოხრებულის კახეთით რა მაგისთანა ძალი მაქეს... მე ასე მეკონა, რადგან ჩემი უფროსი პატრონი ბრძან-დებით და მაშის ალაგს მოწყალე ამ ჩემს ჯდომასა და ჩემს ძმასთან ჩხუბის ჩამოუგდებლობას მოიწონებდით და თქვენ კი გამწყრომიყავით. თქვენის თავის მზემა, თუ იმან და მე ერთმანეთს ცემა დავუწყევით, თქვენც დიდად შეგაწუხებთ და ქვეყანაც ბამეთხრება. ვეღარც შვილი მოისვენებს და ვეღარც შვილიშვილი. რაღა ვართ, რომე ახლა ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს ზედა დაუწყოთ. ორნი ძმანი ჩვენ ვართ და ორის მძისწუ-ლი დაგვრჩა: თუ ხელმწიფე არ მაგვიწყრა, ჩვენ რაღანი ვართ ერთ-მანეთისა, რომელიც გაპატრონდება ყველა ერთმანეთის პატრონი ვიქნე-ბით"... (26, გვ. 168-170).

თეიმურაზის წერილებიდან უსეინყულიხანისადმი ანუ ვახტანგ VI-დმი ირკვევა, რომ კახეთის დარბაზების მიზნით ლეკების წინა-აღმდეგ საბრძოლველად ვახტანგ VI-ს გადაუწყვეტია თავისი ჯარით ლილოზე გასვლა, მაგრამ ქართლის მეფის ამ გადაწყვეტილებას არც თეიმურაზი და არც კახეთის წარჩინებულნი არ აღუფრთოვანებია, პი-რიქით, თეიმურაზი უწუნებს სიმამრს ამ გადაწყვეტილებას და სწერს, რომ ვახტანგის ლილოში დგომას და ქართლში ყოფნას ერთი და იგივე ფა-სი აქვს, რადგან ქართლის ჯარი ვერც ლილოდან ვერ მიიტანს ლეკებ-ზე იერიშს: "...თქვენის ჯარისა ლილოზედ გამოსვლა გვეძახათ და ჩვენთვის ვეკითხათ. კურთხეულის ჩვენის ძმის მეფის იმამყულიხანისა და ჩვენი დარბაისელთ, ეპისკოპოზთ ნოხსენება და თავის წყენა თქვე-ნთან ყოველთვის ეს არის, - თქვენ ჯარით გამობრძანდეთ და ჩვენს ქვეყანას უშველოთ და მტერი გაგვილახოთ. თქვენის გამობრძანდებით იმედით აქანამდინ ვვიყვენებია ქვეყანა. ხიზანი იყო, თუ მოსაზ-ლე ვინმე სახლობს, თქვენი გამობრძანება რომ ესმოდა, პატრონის ჩვენის ძმის სიცოცხლეშიაც დიდს ზურგსა და იმედს აძებდა და ანდე-ნი ჭირი გასძლეს. თქვენგან და თქვენის დიდის ჯარით გარისელის უკეთესი არა იქნების რა, რომე ამ ვათავებულს ქვეყნებსაც თავის ადგს დაყენებს და მტერსაც დასჩაგრავს და ძალას მოუშლის... ბა-ტონი, ხომ გონიერად გამიწყავს, კიდეც მოხსენებია და კიდევ თვა-ლითაც უნახავს კახეთის გაოხრება და მტრისაგან წახდენა... კახე-თის შიგნით სოფლები რომ გადაკლდნენ იმათიც ასეთი ფიქრი გვაქვს, ღვთითა და თქვენის ბედნიერობით, რა მაგათს გამობძანებას და კახეთის შოშველებას შეიტყობენ; ისინიც ჩვენკენ მოიწევენ და ვი-

სად გალეკებისა და აყრის შიში აქვს, ისინიც ამ კახეთის ალაგს ვეღარ დაგიდებენ, ვეღარც გალეკდებიან, ზოგი შიშით და ზოგი იმე-დით და წურგის ნობმით. მაგრამ ბატონსაც მოეხსენება, ლილოზედ ჯარის დადგომა შიგნით კახეთის ალაგებს არას არგებს, ამიტომ-რომ, რადგან გალეკებული სოფლები არიან იმათ თავიან ალაგებში ლეკნიც ყუანან ზოგი რამ და რა ამას დაინახავს ჯარი შორს დგასო, სადენდაც ვერ მოგვწვდებაო, სოფლებს ცემას დაუწყებენ. ლილოზედ დგომა ამიტომ ყოველს ალაგზედ შორს იქნება, თორემ სადაც თქუ-ენს ჭალაზედ ბრძანებით მანქილიამაც დიდი იმედი ესმით და ამ ალაგებს კიდემ ის აყენებს, თორემ თქუენი ლილოზედ დგომა როგორ ქვეყანას არ მოაშორებს. ერთი ესეც არის ლილოზედ მდგომი ჯარი განჯას და სხვა ყიზილბაშების ალაგებს არას არგებს, რადგან ჩვენც და ჩვენს ალაგებსაც მაგ წყალობას უზანთ და გამობძანდებით, ახლოს ალაგს მობძანდით, რომ კახეთსაც არგოთ და ყიზილბაშის ქვეყნებზედაც საომრად ბძანდებოდეთ. ჩვენთვის დიდი წყალობად და ქვეყნისათვისაც საჯობინარო იქნება"... (26, გვ. 170-171).

წერილებიდან ირკვევა, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი დავითის საქმეებს აგრძელებდა კახეთში. თეიმურაზიც ისევე, როგორც დავითი, ვახტანგს ჯარით დახმარებას სთხოვდა, რო-გორც კახეთის, ისე "განჯას და სხვა ყიზილბაშის ალაგების" და-საცავად. მაგრამ ვახტანგს ყიზილბაშების ქვეყნის დაცვა არაფრად აინტერესებდა, იგი პეტრე დიდთან ერთად სალაშქროდ ემზადებოდა.

როგორც ცნობილია, 1722 წლის 8 მარტს გიულნაბადთან დამარ-ცხების შემდეგ ირანის შაჰმა კახეთის ტახტი მისცა მაჰმადყული-ხანს, იგივე კონსტანტინეს, რომელიც ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს შაჰმა მას მისცა ერევანი, შამშადილუ და ყაზახი. მართლაც, კონსტანტინეს მიერ 1722-1723 წლებში გაცემულ საბუთებში, იგი თავის თავს იხსენიებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



როგორც "კახეთის მპყრობელს, ყარაბაღის ბეგლარ-ბეგს, შამშადილუ-სა და ყაზახის ხანს"(33, ფ. 1450, ღ. 32, ს. 303; ფ. 1450, ღ. 32, ს. 307; ფ. 1450, ღ. 53, ს. 116; ფ. 1448, ს. 126; ფ. 1449, ს. 100 და სხვა).

ქართულ ისტორიოგრაფიაში კონსტანტინე (მაჰმადყულიხანი) კახთა მეფის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. მას ძირითადად უარყოფით პიროვნებად წარმოგვიდგენენ[X]. მისი ასეთი უარყოფითი შეფასება ძირითადად გამომდინარეობს ქართლის მეფე ვახტანგ VI-თან მისი ურთიერთდამოკიდებულების გამო. ზოგიერთი მკვლევარი მას დადებით პიროვნებად გვისახავს[XX]. ჩვენი აზრით კი, საჭიროა იგი მთლიანობაში იქნეს შეფასებული მთელი მისი მოღვაწეობით.

ვახუშტი ბატონიშვილი კონსტანტინეს ასე ახასიათებს: "იყო ესე მაჰმად-ყულიხან ფრიად მაჰმადიანი, ლაღი და ამაყი, მდიდარი და მესისხლე, რამეთუ არა რიდებდა მცირესა ზედა კაცთა სიკუდილ-სა" (16, გვ. 619). თ. კრუსინსკის მიხედვით, ვახტანგსა და კონსტანტინეს შორის ჯერ კიდევ ირანში ჩამოვარდნილა მტრობა. ამის მიზეზად ავტორი ასახელებს იმას, რომ 1711 წელს ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპულმა ქაიხოსრომ მასთან მყოფ მისიონერს ამბროჯიო მილანელს გადასცა თავისი საგვარეულო ძვირფასეულობა და როცა ის ყანდაჰარში დაიღუპა, კონსტანტინემ წაართვა ამ მისიონერს ყველა-ფერი. ეს გახდა ვახტანგსა და კონსტანტინეს შორის მტრობის მიზე-ზი (85, გვ. 131-132).

---

X გ. ნატროშვილი, "ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი". ჟურნალი "მნათობი", 1976 წ. № 1.
ბ. ქიქოძე, "ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა", თბ., 1988 წ.

XX მ. სვანიძე, "დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი". ჟურნალი "მნათობი", 1980 წ. № 12.

ვახტანგმა განჯაში დაშქრობამდე კონსტანტინესთან გაგზავნა სეხნია ჩხეიძე მოსალაპარაკებლად და შესარიგებლად. კონსტანტინემ "დაიფიცა ფიცითა საშინელითა და აახლო მეფეს ვახტანგს საფიცარი და რათა ერთმანეთისათვის იყვნენ და შეყრა ერთმანეთისა" (32, გვ. 33). ვახუშტის თანახმად, რუსეთის ჯართან შესაერთებლად განჯაში დაშქრობამდე, ვახტანგმა ყაზახი უწყალობა ყაზახის ხანს, მაგრამ იქ კონსტანტინე იდგა და ვახტანგს აცნობა: "რამეთუ ჩემდა მიცემულ არს ყაზახი ყეენისაგან, ანუ ჯერ არს თქუენგანცა არა წიხმად იგი. არამედ მე მიგცნე სპანი მისნი". კონსტანტინეს ვახტანგი დაეთანხმა და დათქვეს შეხვედროდნენ ერთმანეთს გატეხილ ხიდზე (16, გვ. 500). მეორე ადგილას კი ვახუშტი წერს: "ამისთვის ჰყვეს პირი მტკიცე ორთავე, რათა შეკრბნენ ბურანს, ზავისა და სიმტკიცისათვის. ხოლო მოვიდა რა ვახტანგ სპითა ბურანს, წარეგზავ-თა მისვლად ბაქმალ-ყულიხანცა; ამან მოგზავნის მოერთუა წიგნი იესესი და რომელთამე ქართველთა, რათა არა მივიდეს ვახტანგისა თანა: "რამეთუ გიდევნებიან ღალატად სიკუდილსა". (16, გვ. 619).

როგორც ჩანს, ვახტანგი და კონსტანტინე შეთანხმების მომხრენი არიან. მათ შორის სადავოდ გადაქცეული ყაზახის გამო შეხვედრის ადგილიც დაინიშნა, მაგრამ ვახტანგის რენეგატი ძმის, იესეს წერილმა კონსტანტინეს ვახტანგთან შეხვედრა გადააფიქრებინა (16, გვ. 500).

ძნელია ითქვას, რა შედეგი იქნებოდა მიღწეული ამ ორი სხვადასხვა ორიენტაციის მქონე მეფის შეხვედრა რომ შემდგარიყო, მაგრამ ფაქტია, რომ ფეოდალური შუღლი და დაქუცმაცებული ქვეყნის ბუნება, გადაულახავ სიმაგრედ აღემართა წინ ამ ორი მეფის გაერთიანების საქმეს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, იმ დროს, როცა შაჰი ვახტანგს აზერბაიჯანის სპარსული ჯარის სპასალარობას აძლევდა და შირვანის დაპყრობას ავალებ-

და, კახეთის მეფე კონსტანტინეს გამოცხადება, ყაზახის, შამშა-
დილეს და ერევნის გადაცემა მისთვის, მიმართული იყო იქითკენ, რომ ეს ორი მეფე შაჰის ერთგულების გზას არ ასცდენოდა და ამავე საშუალება არ მისცემოდათ ქართლ-კახეთის გაერთიანებისა.

კახეთის სამეფოსა და ქართლის ასეთ ურთიერთობაზე თავის ცხადად გავლენას ახდენდა ამ პერიოდში შექმნილი რთული საერთაშორისო ვითარებაც. სწორედ ამ ხანებში (ე.ი. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს) საერთაშორისო ურთიერთობა წინა აზიაში კრიტიკული შეიქმნა. განვითარების უნარდაშრეტილი სეფიანთა ყიზილბაშური სახელმწიფო სიკვდილის პირას იყო მისული. მის მიერ დაპყრობილი ხალხები განთავისუფლებისათვის ომს იწყებდნენ. აღმოსავლეთში ავღანნი აჯანყებულიყვნენ, დასავლეთში ქართველები ურჩობდნენ. გარეშერო სახელმწიფოები კი მისუსტებული მეზობლის ნაჭრნევის მისატაცებლად ემზადებოდნენ. განსაკუთრებით ოსმალეთი აქტიურობდა.

ნ.ბერძენიშვილის სიტყვით, "ირანის პოლიტიკური დასუსტებით დაღესტნელებმა დრო იშოვეს და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებს საძარცვავად მოედვნენ. შარვანი, შაქი, ყარაბაღი და მთელი არაზის გაღმართიც კი არდაველაშის დაღისტნელ აბრაგთა სათარეშოდ იქცა. მეორეს მხრივ დაღისტნელებმა "გაღმამხრელ ლეკებთან" ერთად გადმოლახეს კახეთი და ქვემო ქართლს შემოესიეს... დაღისტნელების ასეთ მოქმედებას ოსმალეთი მფარველობდა, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დასაპყრობად ნიადაგს დაღისტნელთა საშუალებით იმზადებდა (58, გვ. 273).

ირანის თავგზააბნეული მთავრობა დაღისტნელ მთარეშეთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას ვერ ახერხებდა. დაღისტნის მეზობელი სახანოები ამ საქმისათვის უვარგისნი ჩანდნენ: ზოგი სუსტი იყო, ზოგს კიდევ შაჰი არ ენდობოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირანის შაჰმა დაღისტნელთა წინააღმდეგ ლაშქრობა ისევ შირვანის ხანს უბრძანა, მაგრამ როგორც დავინახეთ, "ლეკებმა" ხანი დაამარცხეს, მოკლეს და თვით შამახიაც (შამახიით) დაიპყრეს. ამაზე ადრე კი "1721 წლის აგვისტოში დაღისტნელ ფეოდალთა – დაუდ ბეგისა და სურხაის აჯანყება ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ საბედისწერო შეიქნა. მათ თავი ოსმალეთის ქვეშევრდომებად გამოაცხადეს, შეესივნენ შემახას, დასწვეს და დიდი ზარალი მიაყენეს ქალაქს. შემახის ალების დროს დაღისტნელებმა რუსი ვაჭრები გაძარცვეს და 50 000 მანეთის საქონელი გაიტაცეს. ეს ფაქტი "კასპიისპირეთის ლაშქრობის" დაწყების უშუალო საბაბი გახდა" (96, გვ. 41-42).

1722 წ. ოქტომბერში აჯანყებულმა ავღანელებმა ისპაანი აიღეს და სპარსეთის ხელმწიფე შაჰ-სულთან ჰუსეინი დაატყვევეს. შაჰის ერთ-ერთი შვილი თამაზი ისპაანიდან გამოიპარა, ყაზვინ-თავრიზში შეიხიზნა და იქ შაჰობას იჩემებდა. ამრიგად, სპარსეთის პოლიტიკური საქმეები ძალზე უიმედოდ აირია, ოსმალეთმა დრო შესაფერისად სცნო და სპარსეთის ნაყოფიერი ქვეყნების დაპყრობა მოისურვა. ამასთან დაკავშირებით რუსეთი (პეტრე I) იძულებული გახდა ნაადრევად დაეწყო ლაშქრობა კასპიის ზღვის სანაპიროების დასაცავად. (58, გვ. 273).

1722 წლის მაისს მოსკოვიდან გასულმა პეტრე I-მა 23 აგვისტოს დერბენდს მიაღწია. მას თან ახლდნენ საიდუმლო მრჩეველი ი. ტოლსტოი და გენერალ-მაიორი აპრაქსინი. ხოლო, როცა პეტრე I 1722 წლის ივლისში ასტრახანს შეჩერდა, ვახტანგ VI-ს აცნობა მაიორ თურქესტანიშვილით, რომლითაც აცნობებდა, რომ თურქული მხარის ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის არაფერი დაევალებინათ: "თქვენთან მეზობლები ქრისტიანებისათვის, რომელნიც თურქული ქვეშევრდომები არიან, არავითარ ამოძრავებას არ უნდა დაუმორჩილოთ" (81,

გვ. 92) მიუხედავად ყოველივე ამისა პეტრე I-ის სამხრეთისაკენ გამგზავრება, ცხადია, ვახტანგ VI-ს გარკვეულ იმედებს უღვივებდა. პ. ბუტკოვის ცნობით ვახტანგ VI-მ სწორედ ამ დროს საჯაროდ მი-იღო ქრისტიანობა: "Принял вновь публично христианскую веру, в сугубое доказательство преданности своему Российскому престолу... Константин, кахетинскаго владетеля (незаконный) сын, который содержа магометанскую веру был сердцем и душою предан Персам и именовался Магамет-Кули-Хан, сделался Вахтангу врагом непримиримым" (43, с.51).

მიიღო თუ არა ვახტანგ VI-მ ცნობა ირანის ყმადნაფიც ქვეყნებში რუსის ჯარის შემოსვლის შესახებ, მაშინვე 30 000-იანი ქართული და 8 000-იანი სომხური ჯარით განჯისაკენ გაემართა, რათა რუს ლაშქართან ერთად ერევნისაკენ დაძრულიყო. მაგრამ ვახტანგის განჯაში ყოფნის დროს, როგორც ცნობილია, სრულიად მოულოდნელი ამბები დატრიალდა. რუსის ჯარი მას ვერ შემოეგება. აგვისტოს ბოლოსათვის რუსეთის ფლოტილია ქარიშხალმა გაანადგურა. ამ ვითარების მომიზეზებით 1722 წ. სექტემბერში რუსეთის მთავრობამ მოშალა „კასპიისპირეთის ლაშქრობა" და ჯარი ასტრახანისაკენ გაიწვია. (81, გვ. 98-99). ვახტანგის განზრახვა, რომ რუსეთზე დაყრდნობით ირანის ვასალური დამოკიდებულებიდან თავი დაეღწია, განუხორციელებელი დარჩა.

ამჯერად ვახტანგის პოზიცია, ერთი შეხედვით გამართლებული იყო, მაგრამ ვახტანგის ამ მოქმედებას უფრო ღრმად სჭირდებოდა ანწყვრება, რაც ვერც თვითონ ქართლის მეფემ და ვერც ქართველმა მოწინავე პოლიტიკურმა საზოგადოებამ წინასწარ ვერ გაითვალისწინა. ვახტანგის განჯაზე ლაშქრობის შემდეგ ქართლის სამეფო მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: თუ მან ირანის შაჰისაგან თავი გაიწ-

თავისუფლა, სამაგიეროდ თურქეთის ხონთქრისაგან მიიღო მუქარა და კახი ბატონი მამადყული-ხანიც აიმხედრა. (96, გვ. 44). თვითონ ვახტანგ VI 1722 წლის სექტემბერში პეტრე I-ს სწერდა: "...ამ საქმით ყეენიც დაგვემდურა, კახი ბატონიც აგვემალა და ხონთქარიც წყრომს და იმუქრების"... (47, გვ. 141-142).

განჯაში ვახტანგის ლაშქრობის ბოლოს შემდეგ ქართლსა და კახეთში კიდევ უფრო გაძლიერდა დალესგნილი და შარული აბრაგების თარეში. ჩვენი აზრით, ყველაფრის გათვალისწინება მაშინ ვახტანგს ქართლად არ ძალძლო, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება მართებდა კახთა მეფის სწორი პოზიციისადმი იმ დროს, როცა დაღესტნელები სამილო-თდ მკვიდრდებოდნენ მდინარე ალაზნის გაღმა ნაპირზე. განჯაში დიდძალი ჯარით მყოფი ვახტანგი კახეთთან თანხმობის გზით შესაძლებელია ქართლსაც მოაშორებდა ოსმალთათვის გზის ჩაკეტვას ქართლის მი-სადგომებთან... ერთი სიტყვით მეფე ვახტანგმა რის ხელში და მი-სავე კარდან მყოფი ძალები სათანადოდ ვერ შეაფასა.

სამაგიეროდ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კახეთის მეფეების მთელი წარმატება ამ პერიოდში იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობათა დაპირისპირებისას თითოეული მათგანისათვის კახელი ხელისუფლის ერთგულება-მორჩილება ჩვეულებრივზე უფრო ძვირად დაფასებულიყო და ამით მეტ-ნაკლებად ხელი შეეწყო კახეთის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის. ე.ი. კახთა მეფე რუსეთთან, თურქეთთან თუ ირანთან ურთიერთობისას ყოველთვის ირჩევდა თავისთვის უკან დასახევ გზას, რაც მას საშუალებას აძლევდა ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი თავისი თავიცა და ქვეყანაც გამოეყვანა მდგომარეობიდან.

სწორედ ასეთ პოზიციას ადგა ვახტანგ VI-ის თანამედროვე კახთა მეფე კონსტანტინე ანუ მაჰმადყულიხანი, რისი დამადასტურებელიცაა მისი მიმოწერა რუსეთის სამეფო კართან 1724 – 1725

წლებში. ასე მაგალითად: კონსტანტინემ იცის, თუ რას ნიშნავს "ხელმწიფეთ ხელმწიფის (პეტრე I) დიდისა და ძლიერის ლაშქრისა და სარდლის აქათ მობრძანება" (47, გვ. 164), მაგრამ მასთან უფრო ახლო ურთიერთობისაგან მაინც თავს იკავებს, ვიდრე ხელმწიფის ეს უძლეველი ლაშქარი მ. ხი ქვეყნის სიახლოვეს არ მობძანდება (47, გვ. 166). კონსტანტინეს მიერ მიწერილი ის წერილი კი, სადაც აღნიშნულია, რომ "ხელმწიფის სამსახურზე კაცი გამოვგზავნე, საქართველოს ამბავი მოვახსენე, მაგრამ მტრის შიშით და გზის სიძნელით, ჩვენმა კაცმა ვერ მოაწია" (იქვე გვ. 167), სხვანაირად იმას ნიშნავდა, რომ კახთა ჯარების გაგზავნა ასეთ ვითარებაში რეალურად შეუძლებელი იყო. ასე, რომ, კონსტანტინე კახეთის სამეფო კარზე შემუშავებულ ტრადიციულ პოლიტიკას არ ღალატობს, იგი სხვათაშორის პირდაპირად აგრძნობინებს რუსეთის სამეფო კარს ამ ამბავს, როდესაც წერს: "თუ თქვენ ახლოს მობძანდეთ... თქვენის დალით ამათ პასუხს ძლევას დაუწყებთ" (47, გვ. 164).

ამრიგად, რასაც მთელი დიპლომატიური სვლებით გაურბოდნენ თავიანთი მეფობის დროს, ჯერ კიდევ ალექსანდრე კახთა მეფე და იმჟამად კონსტანტინე მაჰმადყულიხანი, ვახტანგ VI-მ დალიან უმიზეზოდ შეხედა, რამაც სულ მალე სავალალო შედეგებიც გამოიღო. ვახტანგს ისეთი პოლიტიკა უნდა შეემუშავებინა, რომელიც მის ძალებს შეეფარდებოდა და გარკვეულ ვითარებაში რუსეთი მისთვის ერთგვარ დამხმარე ძალად გამოვიდოდა. სამწუხაროდ კი პირიქით მოხდა, ვახტანგის პოლიტიკაში რუსეთმა ძირითადი ძალის სახე მიიღო და შესაბამისად ვახტანგი მის დამხმარე გამოვიდა, რის გამოც თავიდანვე აღმოჩნდა რუსეთზე მთლიანად დამოკიდებული და ამდენად უკანდასახევი გზაც თვითონვე მოიჭრა. (61, გვ. 144).

პეტრე დიდის სპარსეთის კამპანიაში ჩარევის გამო იყო ალბათ, რომ ვახტანგმა კახთა მეფის დავით იმამყულიხანის წინადადება-

მე – მოეწყოთ დაღისტნელ აბრაგთა წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა და საბოლოოდ გადაეწყვიტათ ლეკური საკითხი – თავი შეიკავა. მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთის ერთობლივ მოქმედებას იმხანად შეეძლებოდა მართლაც გადაეწყვიტა "ლეკური საკითხი", მით უფრო, რომ "ლეკიანობა" ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმული იყო და ამავე დროს ქართლ-კახეთს ჯერ კიდევ არ განეცადა "ოსმალობისა" და "ყიზილბაშობის" გამანადგურებლობა. 30 – 40-ათასიანი ქართლის ჯარით და ასევე ათასიანი კახეთისა, ორივე მეფეს მართლაც შეეძლებოდათ დაღისტნელ ფეოდალთა და ტომთა ბელადების თავდასხმების ალაგმვა და ქვეყნის დოვლათის [illegible]. მაგრამ ვახტანგმა კახეთთან დაახლოების ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტი ხელიდან გაუშვა. მართალია,* დავითი და ვახტანგი სხვადასხვა ორიენტაციისა და მისწრაფებების მქონე მეფეები იყვნენ და მათი ერთმანეთთან კეთილი ურთიერთობა ფორმალური იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ლეკების მიერ მოწყობილი მდგომარეობა, ფაქტიურად მაინც აპირობებდა არ მეომრობას და ეს უნდა ყოფილიყო სწორედ ამოსავალი, რამეც სხვათაშორის, კახთა მეფე წავიდა, ხოლო ვახტანგი კი არა. ვახტანგის ასეთი დამოკიდებულება კახეთისადმი, შეიძლება მხოლოდ ორი ვარაუდებით აიხსნას: ერთი, რომ ვახტანგი ალბათ თვით აპირებდა კახეთის დაპყრობას,* საქართველოს გაერთიანებას და რუსეთის ირანისადმი დაპირისპირებას, ხოლო მეორე იმით, რომ ვახტანგს მთლად ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი "ლეკიანობა" ნამდვილი თავისი არსით.

კონსტანტინესათვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო ქვეყნის ნაცვარი გარემოებების შეცნობა, რამდენადაც "კვალადვე მარადის იყო ესევითარი კირთება ლეკთაგან კახეთსა შინა" (16, გვ. 619). კონსტანტინე თავდაპირველად თავისი ძმების დავითისა და თეიმურაზის გზას დაადგომია "ლეკური საკითხის" მოგვარებაში. ასე მაგალითად, საქართველოში მოსვლისთანავე რას "ზავისა და სიმშვიდისათვის" ვაჰ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭანგ VI-თვის მიუმართავს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგს დიდი ენთუზიაზმი არც ამჯერად გამოუჩენია, რითაც კარგად ისარგებლა მისმა ძმამ იესემ და ორივე მეფე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთმანეთს.

კონსტანტინესათვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იყო ვახტანგთან ახლო ურთიერთობა. ჯერ ერთი, შეიძლებოდა ორივე მეფის მონდომებით და ერთობლივი ხელშეწყობით "ლეკური საკითხი" კვლავ მოეგვარებულიყო; მეორეც, ვახტანგს სწორედ ამხანად ჰქონდა მიღებული შაჰისაგან "სარდრობა ერიბექანისა" და, რასაკვირველია, არ იქნებოდა ურიგო თუ მას, როგორც შაჰის კაცს, კარგი ურთიერთობა ექნებოდა მასთანაც; და ბოლოს, როცა იბრაჰიმ-ფაშა სულთნის მფარველობაში შესვლის საფასურად ვახტანგს ქართლს სთავაზობდა, ამ უკანასკნელს შეეძლო ქართლთან კარგი ურთიერთობის გამო მისთვის უარი ეთქვა. კონსტანტინემ მეორეჯერ სცადა ვახტანგთან ურთიერთობის დამყარება, რათა ყოფილიყო, ვახუშტის სიტყვით, მათ შორის "უმეტესი სიმტკიცე" (16, გვ. 620), მაგრამ მას ამჯერად ამ განზრახვაზე ხელი კახელმა დიდებულებმა აალებინეს. იმჟამად კახეთის სამეფო კარზე უკვე თვით სცადა ქართლის დაპყრობა და შემდეგ ასე რიგად შემოერთებული ქართლის ძალებთან ერთად დაესხნენ და მცირე აბრაგთა შემოსევების აღაგზნა: "ჰგონებდნენ დაპყრობას ქართლისასა, - წერს ვახუშტი, - და მერმე ამით შემუსრვასა ლეკთასა და განთავისუფლებასა მათგან"... (16, გვ. 620-621).

დავით გურამიშვილი ასე ახასიათებდა იმ დროს საქართველოში შექმნილ მდგომარეობას:

"თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილგვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინაც აიშალნენ, ძმამ მოუკლა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს, გულით მოიწყვედნენ ნიშტი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმჭერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაჰკბინოს და დაეკიდოს
რა ორნივე ჯალაღური ძაღლმან ნახოს, ჰირი ჰკიდოს: –
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს".
(7, გვ. 85)

ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ ყველა მიმართულებით წააგო. მისმა ამგვარმა პოლიტიკამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც ირანის შაჰისა, ისე ოსმალეთისა. მაგრამ მაინც ორივე მხარე – ირანიც და ოსმალეთიც, როგორც წინათ, ისე ახლაც იწვევდა ქართლის მეფეს და ცდილობდა თავისკენ გადაბირებას. მიუხედავად ამისა, ვახტანგი ჯერ ისევ რუსეთის ერთგული იყო, რადგან იგი 1723 წლის გაზაფხულზე მოელოდა პეტრე დიდის ახალ გამოლაშქრებას. ვახტანგზე განრისხებულმა შაჰმა 1723 წლის 10 იანვარს "ორგულ ყმას" ქართლი ჩამოართვა და კახეთის მმართველს მაჰმადყულიხანს (კონსტანტინეს) გადასცა. ამ ფაქტს ამ ამბების მომსწრე სეხნია ჩხეიძე ასე გადმოგვცემს: "დაუწყრა მეფეს ვახტანგს ქორჩიქილოხანს უია, იანვრის ათს და მისცა (ქართლის მეფობა) მამად ყული-ხანს... მოუვიდა კახს ბატონს რაყა-მი კახეთს საგარეჯოს" (40, გვ. 35).

ამგვარად, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, "ვახტანგს რუსთა მეფის დახმარების იმედი გაუცრუვდა. ოსმალეთმა და რუსეთმა ირანი გაინაწილეს. ხონთქარმა კასპიის ზღვის სანაპიროები რუსეთის საკუთრებად ცნო, პეტრემ კი სამაგიეროდ ოსმალეთს დაუთმო ირანის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოც მიათვალეს" (57, გვ. 196).

მართალია, ირანის შაჰმა ვახტანგს ქართლი ჩამოართვა და კახეთის მმართველს მაჰმადყულიხანს გადასცა, მაგრამ ამ ამბავს კახთა მეფე დიდად არ აღუფრთოვანებია, რადგანაც მას კარგად ესმო-და, რომ შაჰის ამ "წყალობას" და კონსტანტინეს მიერ ქართლის გაბ-

K 24115?

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტის დაკავებას აუცილებლად მოჰყვებოდა ბრძოლა ქართლსა და კახეთს შორის და ძმათა შორის სისხლისღვრა. კონსტანტინე კაცთა შეჯე კი - მართალია გამაჰმადიანებული და გარეგნულად ის ირანის შაჰის ერთგული არის, მაგრამ შინაგანად თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი და დამცველი იყო. ამის დამადასტურებელია გამაჰმადიანებული ქართველი ავტორის გურჯიზადეს ცნობა იმის შესახებ, რომ კონსტანტინემ, როგორც კი მას ამის საშუალება მიეცა, უარყო მაჰმადიანობა და დაუბრუნდა ქრისტეს რჯულს: "...ნაჰმად ყული-ხანიც, რადგან წარმართთა ბეთაური გახდა, ძველ სარწმუნოებას განუდგა, იგი ქრისტიანობაზე გადავიდა, სახელდახელ კონსტანტინე დაირქვა და ქრისტიანი ბერებისაგან ქრისტეს მოძღვრება ჩაინერგა. ადათ-წესებს ასი წლის მოხუც ბერებზე უფრო დახელოვნებული უწრწუნო ასრულებდა, იმ ზომამდე, რომ კათალიკოსებიც კი მას ეთაყვანებოდნენ ხოლმე ქრისტიანობის საკითხებზე" (8, გვ. 34).

კონსტანტინეს ერჩივნა არ შეესრულებინა შაჰის ბრძანება, ვიდრე ყიცი გაეჭრა ქართლის მეფესთან და ძმათაშორის სისხლი დაეღვარა. ამ ამბავთან დაკავშირებით დავით გურამიშვილი კონსტანტინეს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

"მე ვახტანგს მეფეს შევრიგდი, პირობა მივეც ძმობისა,
შევფიცე, კიდ-ღა ვიტვირთო ეს საქმე ფიცთა გმობისა?
თუ მე არ დავცხრომ, აწ მისგან უფრო არ დაითმობისა,
ვარჩევ, სჯობს ფიცთა გატეხას გაყრა ამ რაყმობისა!"

(7, გვ. 94-95).

. . .

მე მგონდ სხვანიც მეყოფიან, ძმასა რაღ-ღა დავმტერდები?
იმას ისრევ ქართლი ქონდეს, მე ჩემს კახეთს დავსჯერდები!"

(იქვე, გვ. 95)

კონსტანტინემ სათათბიროდ კახელი თავადები მოიწვია და ამ საკითხზე რჩევა ჰკითხა. მათ კონსტანტინეს ფიცის გატეხისაკენ მოუწოდეს და ურჩევდნენ ხელიდან არ გაეშვა შაჰის მიერ ბოძებული ეს წყალობა. ისინი მეფეს არწმუნებდნენ, რომ შაჰის ეს ნაჩუქი საქართველოს საწინააღმდეგოს არაფერს გულისხმობს.

კონსტანტინე კი თავის მხრივ თავადებს არწმუნებდა, რომ შაჰმა გაგვაჯავრა და ერთმანეთის პირისპირ დაგვაყენაო, "ქართლი მოგვცა ძმათ საჩუქრად, ამხანაგთა მოსამტროდო" - (7, გვ. 96). კახთა მეფე, მიუხედავად კახელი დიდებულების რჩევისა, მაინც მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე. მას კარგად ესმოდა, რომ შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში არაფრით არ შეიძლებოდა კახეთსა და ქართლის შორის სისხლისმღვრელი ომი, პირიქით საჭირო იყო გარეშე მტერთან საბრძოლველად ძალების გაერთიანება:

"ნუ ვის მამად მოვიკლავთ, ვეშვილებით, თუმცა უნდი;
გარს გვარტყია ვით სარტყელი, სულ სხვადასხვა მტერთა გუნდი.
ჩვენ ერთმანეთს ხმალსა ვსცემდეთ, ეს რჩევა არს დიალ
ცუდი!" (იქვე, გვ. 96).

კონსტანტინე კახთა მეფე მეგობრული წერილით მიმართავს ვახტანგს: - "თუმცა მიბოძა ყეენმა, მე ქართლსა არ გეცილები" (იქვე) და ითხოვს ვახტანგთან პირისპირ შეხვედრას.

როგორც დავით გურამიშვილი გადმოგვცემს, ვახტანგ VI-მ ქართლის დიდებულებთან ერთად გადაწყვიტა კონსტანტინე კახთა მეფის თათბირზე ნიწვევა, მაგრამ ქართლის მეფის ეს გადაწყვეტილება ჩაშალა მისმა ძმამ იესემ, რომლისთვისაც ხელსაყრელი არ იყო ქართლისა და კახეთის შეკავშირება, ქართველთა გაერთიანება და ვახტანგ VI-ის გაძლიერება, რადგანაც იგი თვითონ ოცნებობდა ქართლის სამეფო ტახტში ჩაჯდომაზე და გამეფებაზე.

"იესემ თქვა გულსა შინა: ჩემი ძმა არს ჩემი მტერი!
პატიმრობით დამამძვრა, გამითეთრა თმა და წვერი;
აგრე როგორ დავბრმავდები, შევიქმნები გიჟი-სტერი,
მე იგ ორნი შევათვისო, მე კი დავრჩე ვით ოხერი" (7,გვ. 98)

აქვე გვინდა გავაკეთოთ ერთი შენიშვნა, რომ იესეს მიერ ჩადენილ ამ ვერაგობას, ვახუშტი ბაგრატიშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადმოგვცემს ცოტა უფრო ადრე – ვახტანგის განჯაში დაპყრობამდე. დავით გურამიშვილი კი მას შემდეგ, ცოტა უფრო მოგვიანებით, კერძოდ, როდესაც რანის მაჰმა ვახტანგს ქართლი ჩამოართვა და კახეთის მეფეს კონსტანტინეს გადასცა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტი ბაგრატიშვილიც და დავით გურამიშვილიც ამ ამბების თანამედროვენი არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ ვახუშტის ცნობა უფრო ზუსტი იქნება, ვიდრე დავით გურამიშვილისა, რადგან ვახუშტი უშუალო მონაწილეა ამ ამბებისა. დავით გურამიშვილი კი ამ პერიოდში საკმაოდ ახალგაზრდაა და არც უშუალო მონაწილე არ ყოფილა ამ ამბებისა. ის თავის "დავითიანში", რომელშიც გადმოგვცემს აღნიშნულ ამბებს, საკმაოდ გვიან წერს საქართველოს დატოვების შემდეგ და, მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სწორედ მას ჰქონდეს დაშვებული გარკვეული უზუსტობა.

თავისი ვერაგული მიზნის განხორციელებისათვის იესემ ზერი ეპი[illegible]ანეს საშუალებით საიდუმლო წერილი ვაუგზავნა კონსტანტინეს, რომლითაც ის კონსტანტინეს აფრთხილებდა, თითქოს ვახტანგი მის მოკვლას აპირებდა ფარულად: "რომ ჰოხვალ, რო[illegible]ს დაგინდობს, მოგკლავს ეგ შენი მტერია" – (7, გვ. 99). იესეს წერილმა ქართლში სათათბიროდ მიმავალი კონსტანტინე დააეჭვა და გზიდან უკან გაბრუნდა. ჭვაში კონსტანტინეს ლაშქარს ქართლელები დაესხნენ თავს და გაძარცვეს. დავით გურამიშვილი სინანულით [illegible] სიმყ-

ვებს ათქმევინებს კახთა ბატონს:

„მე მინდოდა ყოფილიყო ჩვენში სიყვარული ძმური,
ჩამომეგდო რიგი, წესი, სამართალი ბატონ-ყმური.
არ ინებეთ, არ მოიშალეთ ერთმანეთში თქვენი შური,
ცოდვა-ბრალი თქვენს კისერთა, თუ რამ მოხდეს უწესური!"

(იქვე, გვ. 100).

შექმნილმა მდგომარეობამ ძლიერ აღაშფოთა მეფე კონსტანტინე, მაგრამ ის კვლავ ცდილობს და სთხოვს ვახტანგ VI-ს, რომ გონს მოეგოს, თორემ მათ შორის განხეთქილებით კარგად ისარგებლებს მტერი და წაართმევს როგორც ქართლს, ისე კახეთს. კონსტანტინემ ამჯერად კვლავ მეგობრული წერილი მისწერა ვახტანგს, რომელიც დიაკვნების ხელით გაუგზავნა. მაგრამ კონსტანტინეს ელჩები ვახტანგმა მწყრალად მიიღო და დააპატიმრებინა. ამ ამბის გაგონებაზე კი კონსტანტინეს მოთმინების ფიალა აევსო, შეკრიბა დიდძალი ლაშქარი და თბილისისაკენ გამოემართა.

კონსტანტინემ ეს ამბავი თბილისის სპარსელ მეციხოვნეთ აცნობა, რომელთაც ღამით ციხის კარები გამოკეტეს და იწყეს თოფ-ზარბაზნის სროლა (1723 წ. იანვარი).

კონსტანტინე მაჰმადყულიხანი უბრძოლველად შევიდა თბილისში და ავლაბარს დაიდგა, ხოლო მისმა ძმამ თეიმურაზ ბატონიშვილმა მეტეხი დაიჭირა. ვახტანგ VI-მ ცოლ-შვილი გორში გახიზნა, თვითონ კი ჯარით თბილისში დარჩა. მაჰმადყულიხანმა თბილისში კლდის უბანი დაიჭირა, მაგრამ მალე ბაქარ ბატონიშვილმა ის იქიდან გამოდევნა. ბრძოლის ასაღებად ვახტანგმა გაგზავნა _ ვახუშტი ბატონიშვილი, რომელსაც უკვე დაემარცხებინა სომხითში შეჭრილი განჯის ხანის მიერ აჯანყებული ბორჩალოს ელი. ვახუშტი 500 კაცით მიადგა მეტეხს იმ დროს, როდესაც კახნი ბაზარში ლოთობდნენ. ისინი წინასწარ შეუთანხმდნენ მეტეხის დეკანოზს დანიელს, რათა საყდარ-

ში შესული კაჭელებისათვის გარედან დაეკეტა კარი. "...შეუჩინეს დეკანოზ, მცხეთისა დავითე, რათა შეყვიდნენ რა კაცნი საყდარსა შე-ნა დაუკლიტოს კარი: იყო წირვა დიდი და დიდსა ხუთშაბათსა ციხ-ტად შევიდნენ კაცნი საყდართა შიგან: რა ესმა დეკანოზსა ალარა-ვინ დარჩა შეუსვლელი, გამოვიდა საყდრიდამ, დაუგდო კარი მცხეთო-სა, დარჩა კაცნი შიგან საყდართა, მოვიდა ჯარი მეფისა, თურე კობმანს დამალული იყვნეს. მოადგნენ კარსა მცხეთისასა, ვამოიყვა-ნიან ჯითო-თითო, დაუკრეს ხელი კაცთა და ჩაიყვანეს მეფე ვახ-ტანგ თანა"... (40, გვ. 35) (აქვე ვწინდა აღვნიშნოთ, რომ ს. კა-კაბაძეს ეს ფაქტი არასწორად აქვს გადმოცემული (71, გვ. 144) და აღნიშნავს, თითქოს კახელებმა ვახუშტის მოსვლისთანავე თვი-თონ ჩაკეტეს გალავანი შიგნიდან და ისე დაიწყეს ბრძოლა - ნ. ს.). ამასობაში მაჭმადყულიხანი ავლაბრიდან მტკვრის მეორე ნაპირზე გა-დასულიყო და ხეითუბნის დამწვარიყო. აქედან მან აიღო ტაბორის კოშ-კი და "...იყო ყოვლ-დღივ იმი, შეეპარნენ თაბორსა ჯარი ქართველ-თა, აიღეს თაბორი, დაესხა მეფე ვახტანგ დილასა განთიადისასა კაცს ბატონსა, ბძანებითა ღუთისათა გაუმარჯვა, ამოსწყვიტეს, გა-იქცა კარი ბატონი, გავიდა მტკვარსა"... (40, გვ. 36). თბილისის ციხეში დარჩა კახ-ბატონის ძმა თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ბევრს ეცვენა თავის სიმამრს ვახტანგს, რათა კონსტანტინეს არ გამოჰკიდებოდა, მაგრამ ვახტანგმა არად ჩააგდო მისი თხოვნა და ჯარი მარგყოფს შეუსია, რომელთაც გაანადგურეს და იავარჰყვეს მღუთაების მონასტერი, მიუხედავად იმისა, რომ ამ მონასტერში იმ-ჟამად იმყოფებოდა თეიმურაზის მეუღლე-ვახტანგის ასული თამარი.

კონსტანტინესა და ვახტანგ VI-ს შორის ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს ასახავს ჩვენამდე მოღწეული კონსტანტინეს მიერ 1723 წელს გაცემული რამდენიმე სიგელი (33, ფ. 1448, ს. 5546; ფ. 1448, ს. 26). მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ-ერთ სიგელს: 1723 წლის 17

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იარაღით თარიღდება კონსტანტინე მეფის ბიძის მიერ მიცემული წყალობის წიგნი ენდრონიკაშვილებისადმი, სადაც ვკითხულობთ: "...და აწა ბედნიერმა ხელმწიფემ რომე ჩვენის სამკვიდრისა კახეთისა და ამ ყმის სახანთავისის წყალობა გვიყო და დიდის დიდებითა და ძლიერებით გამოგვისტუმრა და მოვბრძანდით. ეს საბატონოები შემოვიკრიბეთ და დავიპყარით. ჟამთა ვითარებისაგან და ერთა შლილობისაგან ჩვენსა და ქართველთ ბატონს შუა (იგულისხმება ვახტანგ VI-ნ.ს.) დიდი ჭირი სჭირდა და სამწუხარო ჩამოვარდა, თითქმის ერთმანეთზე საბრძოლში მიმდგარნი ვიყავით. იმ დღეს ჯავახმა და მერამ იმისმა ძმამ გამო-მუხრანთა, წავვივიდა და ქართველს ბატონს მიუვიდა და თქვენ ჩვენ-ზე კარგად დარჩით და გიბოძეთ შენის გაზაყრების ჯავახის კარგი მა-მული"... (23, ფ. 1448, ს.126).

კონსტანტინემ კვლავ შეკრიბა კახეთის ჯარი და თანაც ზავი დადო ჭარელ და დაღესტნელ ლეკებთან, რომელთაც აღუთქვა "დიდძალი ვერცხლი" და 1723 წლის მაისში მეორედ მოადგა თბილისს... როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, ვახტანგს მძიმე მდგომარეობა შეუქმნა: "ორგულობა, ნაჭკვარი განდიდებული, ხიდი ვიწრო" - (16, გვ. 503). სვიმონ ბატონიშვილს, თავისი ძმისწულის ვახტანგ მეფისადმი მტრიანობით არც საფარი გაემარჯვებინა და მტკვრის მარცხენა ნაპირიდან უკანდახევის დროს არც [illegible] ავლაბრის ხიდი აეყარა. თბილისში მყოფ ვახტანგის დასახმარებლად როსტომ ფალავანდიშვილი გაემართა. იგი მეტეხს მივიდა. ხოლო შაქარმა დუშეთისაკენ აიღო გეზი, რათა დახმარება ეთხოვა თავისი სიმამრისათვის - არაგვის ერისთავის გიორგისათვის, და შეეკრებინა ჯარები. კონსტანტინე მაჰმადყულიხანმა თბილისში შეჭრა მოახერხა. თბილისის ციხიდან გამოვიდნენ თეიმურაზ ბატონიშვილი და სპარსი მეციხოვნენი. შეიქმნა დიდი ბრძოლა. ლეკებმა მრავალი ტყვე იგდეს ხელთ. როგორც სეხნია ჩხეიძე გადმოგვცემს: "კაცი ბევრი შეებრდა ქალაქს, ააოხრა, ამოსწყვიტე-

ნეს მოქალაქენი, აიკლეს საქონელი ურიცხვი, შეუხვენ სიონსა, დას-
წვეს, შეაგინეს სიწმინდე, ხატი პატიოსნისა სიონისა ღვთის - მშო-
ბელი წაიღეს"... (40, გვ. 36). ვახტანგ VI იძულებული გახდა მცხე-
თიდან გიწის ვადასულიყო. თბილისი კონსტანტინე მაჰმადყულიხანმა
იგდო ხელთ. აღსანიშნავია, რომ სომეხი ისტორიკოსის აბრაამ ერევან-
ცის ცნობით, თბილისის აღებაში მაჰმადყულიხანს დახმარებია ქალაქში
მდგომი ლომენჩი კათალიკოსი, რომელსაც ფარული კავშირი ჰქონია კა-
ხეთის მმართველთან. ლომენჩის წყალობით ქალაქის მეციხოვნეთ
თბილისის კარები არ ჩაუკეტავთ და მტერს ღამით ჩააბარებინეს დიდძა-
ლი ქონება, ოქროსა და ვერცხლის ნივთები (96, გვ. 50). ამ მძიმე
ამბავს საინტერესოდ თბილისის აღების შემდეგ კონსტანტინეს მიერ
1723 წელს გაცემული წყალობის წიგნი ედიშერ ციციშვილისადმი, სა-
დაც ვკითხულობთ: "...ოდეს დიდმან ერანის ხელმწიფემ ესე დიდი
ხუთნი საპატრონონი მოგვიბოძა, გამოგვისტუმრა დიდებითა დიდითა და
საღაფარათითა ურიცხვითა, მოვბრძანდით და დავიპყარით ესე ქვეყნე-
ბი: ქართლი მკვიდრი მამაპაპითურთ და კახეთი, ერევანი, შამშადი-
ლუ და ყაზახი მოძღვარით მოძღვრადმდე და საბნის საზღვრამდე, ჯავ-
ვემორჩილეს სარათისა ხანნი, სულთანნი, ბიდებულნი, მთის ტავით-
გან ერისთავნი, თუშნი, დიდონი, ფშავ-ხევსურნი, ლეკნი, დაღისტნით
აქეთ ოსნი და ყოველივე ქვეყანანი ჩვენითა და რა დავემყარენით
ტახტსა ამა ქართლისა ტფილის ქალაქისათა და ებძანეთ განწესება
ყოველსავე ვითარ ქმნილიყო ძველოდესვე, მათ მეფეთა მამაპაპათა
ჩვენთაგან"... (33, ფ. 1448, ს. 5546).

ამ დროს ყარსის მმართველმა ისარგებლა ქართლში შექმნილი
მძიმე მდგომარეობით, ქართლის სამეფოს მესვეურთ მოსთხოვა დამორჩი-
ლება და ამის სანაცვლოდ მათ შეპირდა, რომ მაჰმადყულიხანის შემო-
ტევისა და ლეკთა თარეშისაგან გაათავისუფლებდა: "წარმომიდგინე
ნა. ესავთაგანი შენი, მე ვართ მაჰმადყულიხან და დაგიმტკიცებ კე-

დაე ქართლი, ხონთქრისაგან" (16, გვ. 504). ვახტანგს შემოთავაზე-
ბულ წინადადებაზე უარი არ განუცხადებია. მან ყარსის ხანს ბაქარი
მიაგება, ხოლო შამბიანს იესე გაგზავნა. ამ დროს თეიმურაზ ბატო-
ნიშვილი თბილისს კვლავ კახთა ჯარით მიუახლოვდა. ქართლ-კახეთის
ბრძოლებმა აღმოსავლეთ საქართველო კვლავ საფრთხეში ჩააგდო. ქართ-
ველთა და კახთა ჯარი კვლავ დაუპირისპირდა ერთმანეთს. ისევ შეი-
ქმნა ბრძოლის სამზადისი. ვახტანგ VI მოკავშირეებს დასავლეთ სა-
ქართველოსა და ზემო ქართლში ეძებდა... სიმონ აბაშიძე იმერული
ჯარით, ხოლო ზემო ქართლის სადროშო მთელი შემადგენლობით, ქართლის
ლაშქარს შეუერთდა. ისინი თეიმურაზის წინააღმდეგ აპირებ-
დნენ გალაშქრებას, მაგრამ აღარ დასჭირდა, ვინაიდან კონსტანტინე
მაჰმადყულიხანის მიერ შემოშვებული ოსმალები ამ დროს თბილისს
მიუახლოვდნენ. თეიმურაზი იძულებული გახდა თბილისს გასც-
ლოდა. ქართლის მეფეს და მის მოკავშირეებს უმძიმესი მდგომარეობა
შეექმნათ ოსმალეთის ჯართან გამკლავება სრულიად წარმოუდგენელი
იყო. ხონთქრის ჯარს თბილისში პირდაპირ მაჰმადყულიხანი შემოჰყვა
და ციხე-ქალაქთა კლიტენი მიაგება იმის იმედით, რომ ქართლის დე-
დაქალაქს მას ჩააბარებდნენ (96, გვ. 50). ვახუშტის ცნობით: "ოსმალ-
ნი ჩამოვიდნენ ივნისში და დადგნენ ყურყუთას. იხილა მაჰმად-ყული-
ხან, რამეთუ ვერ ავნებს, მიეგება და მიართვა კლიტენი ციხე-ქალა-
ქისანი" (16, გვ. 504). ასევე სეხნია ჩხეიძეც გადმოგვცემს: "რა
ჰსცნა მაჰმად-ყულიხან მოსვლა ურუმთა და მიგებება ბაქარისა, ლონე
აღარ იქნებოდა, წავიდა ქალაქიდამ, მიეგება სარასკარს სომლედუთს,
მიართვა კლიტენი ციხისანი" (40, გვ. 37). გამაჰმადიანებული ქართ-
ველი მწიგნობარი კი ამ ამბავს "თბილისის დაპყრობის წიგნში" ასე
აღწერს: "როცა თბილისის ციხისაკენ ფრთებგაშლილი წავიდნენ, ხსე-
ნებულ ქალაქში იდგა ერთი სპარსელი ხანი, უსჯულო ვახტანგი (იგუ-
ლისხმება ვახტანგ VI-ე.ს.). სწორედ მის წინ მეფობდა. იგი გაიქ-

ვა და, რადგან ნაჭმადყულიხანი სპარსეთის შაჰის მიერ გამეჩნიე-რებული ხანი იყო, ძლევამოსილი ისლამის ლაშქრის თბილისისაკენ გან-გზავრების ამბის გაგონებაზე და ამ ცნობის სისწორის დადასტურებამდე წვრილი ლურსმანივით შეაწუხა. აიღო აღნიშნული ციხის კლიტე-გასა-ღები, ზემოხსენებულს ძმაზე მიეცა და უომრად და უბრძოლველად ჩააბარა, რამეთუ თავდაცვის ძალა და ღონე არ შესწევდა" (8, გვ. 17-18).

ამრიგად, ყარსის ხანმა 1723 წლის ივნისში თბილისი აიღო. მან ქართლში ბაქარის გამეფება მოინდომა და თბილისიც მას დაუმტკ-იცა "...მისცეს მეფეს ბაქარს ქალაქი და შექმნეს რჯულისა მისი-სა მოსავი და დაბურეს ყაუხი, დაარქვეს იბრეიმ ფაშა"... (40, გვ. 37), გუჩქიშალეს სიტყვით კი "...ხსენებულ ვახტანგის შვილს, ბა-ქარს შეაპნავებს, არიარან რომ ისლამის მიღებით გაპატრონებულა და იბრაჰიმად იწოდა, საზინოსათვის წელიწადში განდაკვეთით 40.000 ყურუშის ჯარიმის პირობით, თბილისის მმართველობა საბუქარად უბოძა ერეკლის წესით" - (8, გვ. 47-48).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთხ ვახტანგ VI ვეღარ ქალაქიდან წილდა ქართლში იყო ვაჩიშვილი, ამი-ლის კი კარ პატრონს კონსტანტინეს ეჭირა და რომელიც წინ მიეგება თურქებს და ციხის კარის კლიტეები მჭრის საიდალს თავისი ხელით ჩა-აბარა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, თურქებს კონსტანტინეს სახელის გაგონებაც არ სურდათ და მისის ღლესავით სძულდათ იგი, როგორც ირანის ორიენტაციის მომხ-რე. ამიტომ ქალაქში შესვლისთანავე ნათ კონსტანტინე დააპატიმ-რეს და ციხეში ჩაამწყვდიეს. ამ ფაქტის შესახებ ქურდი ჩელები ზადე ასე მოგვითხრობს: "ხსენებული ხანი (კონსტანტინე - ნ. ს.) დიდი ხანია ერევნის ეჯალეთის ვალია და მორჩილებებული გმირების და ქეყნეა არის ყამი ირანის ხანების მოგას ნაღალი ვიცნებიაო

და პატივით გამოირჩევა. აქრე გაწეული სამსახურის პასუხად ბაღდი-
პირვის მხრიდან პატივისცემა და კეთილი განწყობა დაიმსახურა. რო-
და გამოვლინდა, რომ სხვების დამორჩილების მსურველია და მორჩი-
ლებისკენ წაქეზებულია, სწორედ მაშინ სასტიკმა სურასტერმა
შაჰნავაზის მხარდამჭერნი იქცნენ იმ ვარაუდით, რომ შაჰნავაზის ვაჟ-
კაცობის ჟამს სიმშვიდე ნამოსაყუდლისანის ქართველთან იქნებო-
და დაკავშირებული. ჩან იგი მეამბოხეთა მსგავსად იყო მოკლებული
დამშვიდობება და მშვიდ საუბარს, მეგობრობისა თუ საკუთარ წილს და
ქიკინებით მოიამაშეს ჰგავდა. ვული აჰკინეს, ჩაღვარად ერთ ვიწრო
და ბნელ კარავში დასვეს. მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოსდა
მოსათაწინებლად მისი ღირსების შესაფერისად ჩამოსვლას, ნიშნს
და სამოქვას ყურადღებას არ აქცევს. საკვებად მხოლოდ იმდენი გა-
ნუსაზღვრეს, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო, რითაც უზომოდ შეურა-
ცხყვეს. ხსენებულ ხანს თავი მოაბეზრა აბგვარმა ყოველგვარ მოლო-
დინს გადაჭარბებულმა მჭრელმა მოქმედებამ. ეს გარდა მიზეზი იმი-
სა, რომ ერთ ღამეს შაჰისაგან ოჯაკლიკის ნებით ბოძებული კახეთი-
საკენ მოაშურნა სადავე და გაიქცა" (8, გვ. 48).

ხულ მალე იმავე წლის აგვისტოში თურქეთის სულთანმა აჰმედ
მესამემ სტამბოლიდან საქართველოში ფირმანი გამოაგზავნა, რომლის
ძალითაც ტფილისი და მთელი ქართლი ბაქარ ვახტანგიშვილის ხელში გა-
დავიდა. "დიდებულთა და წარჩინებულთა ბედავი, – სწერდა სულთანი
ბაქარს, – თბილისის ვილაიეთი და მისი ბეგლარბეგობა გებოძოს
შენ... არნაურიდან მკაცრად განერიდე და თავი შეიკავე ღარიბთა,
ქვეშევრდომთა და ვილაიეთის სხვა მოსახლეობისა და ქვეყნის მოწი-
ნავეთა ყოველგვარი ჩაგვრის, ძალმომრეობისა და დაბეჩავებისაგან"
(79, გვ. 142-143).

ფაქტიურად აბით მოხდა ქართლელების მიერ ოსმალთა ქვეშევრ-
დომობის აღიარება, ამ ამბების შესახებ ვახუშტი VI ჯერ კიდევ

1723 წლის მარტში პეტრე I-ს სწერდა: "... მე მსახური თვით-მპყრო-ბლობისა მათისა, ლეფე ვახტანგ*, მოვახსენებ ამას, რომ მაგათი დამორჩილებამ რომ უბძანათლა ჩვენ წინ მისაგებებლად განჯას ჩამო-ვედით, კაცი ბატონი მურად აგვიდგა. აქეთ ყენს მისწერა: "დიდი ხელმწიფე მოყავსო", და რადგან ერევნის ხანი შეიქნა, იქით არზუ-მის ფაშას ყენმა ეწვეკარი და ყაზახი და შამშადილუ მისცა და ჩვენი მტერობა უბძანა. დაიწყო მტერობა, მაგრამ ვერა გვიყო რა; მერე არზრუმის ფაშამ ხვანთქარს მოახსენა, იქიდამ ინისტვინაც უბრძანათ ჩემი მტერობა. მოვიდა არზრუმის ფაშა, ჩვენს საზღვარზე დადგა, კაცი გამოგზავნა "გვეყმეო". ჩვენ უარი უთხარით. ამან ყენს წიგნი მისწერა "წადგინეო". ყენმა ქართლი კახ ბატონს მისცა, კაცი ბა-ტონი ყიზილბაშის ჯარით მოვიდა ალავარში. აქეთ ჩვენ ქართველნი მოვკიდევწუნ და ყოველთვის ბრძოლა ვკაქვს. რა ეს უბრუნდა ნახა, კაცი გამოეგზავნა "თუ არ გვეყმობი, ჩვენ აქედან მოვალთო". მაგათი გამობძანება ხომ ჯერ გვიან იყო, ჩვენ ხომ. ორის ხელმწიფის ბრძოლა არ შევეძლო, ჩვენ ხონთქრის ყმობა შევუთვალეთ, თუ მაგათი გამობძა-ნება გვეღირსება, ლანაბლის თავს შევირნახავთ, მერმე ლაგათი მოსამ-სახურე ვიქნებით" (47, გვ. 147-148).

თავის ნაწილ რუსეთის იმპერატორს, პირველ რიგში, ბაქოს სა-კითხი აღელვებდა, მას თვლიდა უფრო მნიშვნელოვან პრობლემად. ვი-ნაიდან ბაქოს აღებით, კასპიის ზღვის საკითხი დადებითად გადაწყდე-ბოდა, ამიტომ პეტრე იწერებოდა: "როცა ბაქო აღებულ იქნა და ჩვენ კასპიის ზღვაზე მოვმძლავრდებით, მაშინ... მათ ჩვენ ჯარს მივაწო-დებთო"-ო. (8., გვ. 136).

ამის კარმ ბაქარი და ვახტანგ ბევრ იძულებული შეიქმნილან თავიანთი პოლიტიკა შეეცვალათ: მათ ოსმალეთს დიდძალი ქრთამი გაუგზავნეს და კარხლების მიმართაც ლათმიზაზე წავიდნენ. საყურად-ღებო ის ფაქტი, რომ კონსტანტინე ბაქარის დაპატიმრებით ტაიცა თბი-

ციხიდან. "მეძლევრმა, - წერს ვახუშტი, - პატიმრად ყოფილი მამად-ყულიხან ევედრა ბაქარს, რათა განუტევოს და აღუთქვა ფიცი, ვითარ-ცა მონა იყო მისდა" (16, გვ. 505). ბაქარმა, მართლაც, არა მარტო აპატია კონსტანტინეს, არამედ ხელიც კი შეუწყო გაქცევაში. გ. ნატროშვილი შენიშნავს: "იგი (ბაქარი) კარგად იცოდა როგორ სძულ-დათ ოსმალებს კახ მეფონი კონსტანტინე, და მაინც ბაქარმა ხელი შეუწყო პატიმრად მყოფ კახეთის მეფეს გაქცეულიყო თბილისის ციხი-დან. გაქცევის წინ კონსტანტინემ ფიცით აღუთქვა თავის მხსნელს - ამიერიდან შენი ერთგული მონა ვიქნებიო" (79, გვ. 143). ბაქარი ჭკვიანი კაცი იყო და ის წინასწარ გრძნობდა, რომ ოსმალთა წინა-აღმდეგ საბრძოლველად აუცილებელი იყო ქართლის და კახეთის ერთ-ობა, და რომ ამ საქმეში მას კახთა მეფე კიდევ გამოადგებოდა.

ამ დროს ლეკებისაგან ლტოლვილი ვახტანგის ასული თამარი თავისი მეუღლით თეიმურაზით ანანურს იყო მისული. ვახტანგმა მათ-თან ჯარით გასწია საშველად. ლეკები დროდადრო არბევდნენ კახეთის მიწებს და განსაკუთრებით გრემის მიდამოებს. ბაქარმაც თავის მარივ შეძლო დაეწყენებინა ლეკებს მუხრანსა და საგურამოსთან და უკუაქცია ისინი. ამის შემდეგ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კა-ხეთის მმართველი მამადყულიხანი დარწმუნდა, რომ საჭირო იყო ქართლის მმართველთან საფიცარი წიგნი დაედო და ასე დაზავებულ-ნი დამოკიდებულიყვნენ ერთმანეთს. ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით 1724 წელს კონსტანტინე თვითონ აღნიშნავდა: "...ეგება ჩვენი და ქართლის პატრონის სამდურავი და შული მოისვენებოდესთ. ამას უწინ ჩვენში სამდურავი იყო, მაგრამ ახლა, ჩვენ შერიგებულნი და ერთ-მანეთის იმედნი და მოყვარენი ვართ და ჩვენი რჩევა და ქართლი ერ-თი არის და რაც შეგვიძლია საქართველოს მტრების პასუხსა ვცდი-ლობთ"... (47, გვ. 165).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ, ჩანს, ბაქარმაც ოსმალეთთან "მორიგებას" დიდხანს ვერ გაუძლო, ოსმალებს გაექცა, მათ წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა და კონსტანტინეს დაუკავშირდა. ამჯერად, ვახტანგ VI-ც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელი იყო ქართლ-კახეთის ერთიანობა. 1723 წლის მარტში იგი მატიუშკინს სწერდა, რომ პეტრეს დასტურით უნდა მომხდარიყო ქართლ-კახეთის გაერთიანება: ამჯერად "კახური ჯარი" აქტიურად უნდა ჩაბმულიყო ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პეტრე I-მა ამ ღონისძიების სისრულეში მოსაყვანად საგანგებო გაგზავნა ელჩი კახეთს. კვლავ დაიმედებული ვახტანგი კი პეტრე I-ს სწერდა: "ჩვენ ამ ჯარს შევყრით და კახეთში მოვიგებებით". (47, გვ. 156), ცოტა რამდენიმე დღის შემდეგ, თავის მხრივ ბაქარი განკარგულებას აძლევდა სიღნაღისა და სომხითის მოლაშქრეთ მზად ყოფილიყვნენ და ქართლის ჯართან გაერთიანებულიყვნენ. თვით პეტრეს ელჩი კი კახელებისაგან დასტურს მოითხოვდა ერთობლივი საქმის წესრიგში მოყვანისათვის (იქვე). ბაქარი კი თავის მხრივ კახელებს ურჩევდა: "რასაც მაგ ელჩს კარგად მოეპყრობით და ემსახურებით, საერთო საქმისათვის ემჯობინებათ"-ო (47, გვ. 156).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მოხდა ისე, რომ 1723 წლის სექტემბერში კვლავ შეიცვალა საგარეო ვითარება. პეტერბურგში დაიდო ხელშეკრულება რუსეთ-ირანს შორის, რომლის მიხედვითაც კასპიისპირა პროვინციები რუსეთს დარჩა, ხოლო ირანის იმპერიის დაშლით თურქეთმა ისარგებლა. მან ხელთ იგდო მთელი ამიერკავკასია და მათ შორის საქართველოც. რუსეთ-თურქეთის ზავი საბოლოოდ გაფორმდა 1724 წლის ივნისში კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებით, სადაც მთელი ამიერკავკასია და საქართველო თურქეთის დამორჩილებულ ქვეყნად იქნა აღიარებული (105, გვ. 56-57).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ასე რომ, მე-18 საუკუნის მეორე მეოთხედიდან ქართლ-კახეთში მეტად მძიმე პერიოდი დაიწყო. 1723 წლიდან 12 წლის განმავლობაში ქვეყანა ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელს ატარებდა. მართალია "ოსმალობა" კახეთის სამეფოსათვის თავისთავად დიდი ძნელბედობა იყო, მაგრამ მისთვის ასევე არანაკლებ მძიმე იყო "ოსმალობის" თანადროულად მიმდინარე "ლეკური რბევა".

ოსმალების ტყვეობას თავდაღწეული კონსტანტინე კახთა მეფე მეტად რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. მას, ერთი მხრივ, ოსმალების წინააღმდეგ მოუწია ხმლის ქნევა, ხოლო, მეორე მხრივ, ლეკებისა, რომლებსაც დროდადრო იკავშირებდა ხოლმე ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თბილისიდან გაქცევის შემდეგ კონსტანტინე კახეთში ჩავიდა და იქიდან დაიწყო ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა, ეს ამბავი სომეხი ისტორიკოსის ვ. კ. ტოსკანეანის მონოგრაფიაში შემდეგნაირად არის გადმოცემული: "Кахетинской хан (Константин) был под караулом и из караулу ушёл к себе в Кахеты, по которого Эрзерумский паша послал двух пашей и при них пятьсот человек, а между тем велел им в Кахетах осмотреть мест для строения крепости, что уведав Кахетинской хан, собрался со своими и с лезгинцами напал на них, турков и побил с 300 человек и притом одного пашу, а другого поимав и будто выбрил у него половину бороды о отпустил его к Эрзерумскому паше, которому велел сказать, что если он из Тифлиса не выйдет, то они с лезгинцами против его войну иметь будут". (ЮЗ, с.255).

კახეთიდან კონსტანტინე განჯელების დასახმარებლად გაემართა. 1723 წლის 9 ოქტომბერს ოსმალებმა განჯა არეშ და ქალაქი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საშინლად გაძარცვეს და დაარბიეს. "От Мухаммет Кули-хана к нам помощь спешилась, приезжал с войском своим у которых две тысяча бомб". (102, с.246).

კონსტანტინეს გამოჩენამ განჯაში შიშის ზარი დასცა ოსმალებს. ამ ამბავს თურქი მემატიანე ქუჩუკ ჩელები ზადე ასე გადმოგვცემს: "ამასობაში ჯორის გარეგნობის ერთმა წყეულმა უსჯულომ მაღალი ბანიდან იწყო ყვირილი – მაჰმად-ყულიხანის ლაშქარი მოულოდნელად თავს დაგვესხა და დაგვარბიათ – შველას ითხოვდა. ეს გახდა მიზეზი ალაფობასა და ნადავლის მოპოვებაში გართული ჯარის შეშფოთბისა და შიშით შეპყრობისა; რადგანაც ლაშქრის სიმრავლის ძალა შესუსტდა და შემცირდა, თოფები დაყარეს. სერასქერი, რომელმაც დანახა, რომ ჯარისკაცნი ნიაღვარივით წამოვიდნენ, ხსენებული ადგილიდან დაიძრა და ათასი გაჭირვებით ლაშქარი კვლავ ქალაქს გაგზავნა, ნადავლი გადარჩენილი თოფების შეკრება იყო" (6, გვ. 50-51).

განჯასთან ბრძოლაში, როგორც ზემოთ აღნიშნულიდანაც ირკვევა, ოსმალები დამარცხდნენ. შემდეგში პეტრე პირველისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში განჯელები წერდნენ: "განჯის ასაღებად ოსმალებმა 70-ათასიანი ლაშქარი და ძლიერი არტილერია გამოგზავნეს. 18 დღის განმავლობაში ცხარე ბრძოლები გრძელდებოდა. ოსმალებმა 10-12 ათასი კაცი დაჰკარგეს, სხვებმა გაქცევით უშველეს თავს. აქეთვე იუწყებოდნენ, რომ ეს გამარჯვება მათ მოიპოვეს თავიანთი ბეგლარ-ბეგის მაჰმუდ ყული-ხანის (კონსტანტინეს) ხელმძღვანელობით. (90, გვ. 165).

ამრიგად, განჯასთან ოსმალების დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა კონსტანტინე მაჰმადყულიხანმა. და საერთოდ, ამ ძნელბედობის ჟამს, როდესაც ძალების მობილიზება და მოთავეობა მტრის წინააღმდეგ მოუხდა კონსტანტინე კახთა მეფეს, რამდენადაც ვახტანგ მეფის მეთაურობით ამ დროს უკვე ტახტიდან გადასული იყო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიაყრობილი და საქართველოდან გაძლამე უფრო ვიწრობდა, ვიდრე დარ-ჩენისა და ბრძოლაზე. დაღესტნელი და ჭარელი ფეოდალები კი დროს არ კარგავდნენ და ვახუშტის სიტყვით, რომ ვთქვათ "იყო ლაშქრობა ლეკთაგან ძლიერი, ხშირანი, სიკვდილი, ტყუევნანი, ოხრებანი დაუძლე-ბელნი და იავარნი კახეთსა შინა" (16, გვ. 621).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთოდ, მე-18 ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, კახეთის სამე-ფო ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაღესტნელ ფეოდალ-ალალაჩების შემოსე-ვათა მოგერიება და მათი გარეკვა კახეთის სოფლებიდან. ქართლის მეფემაც კახეთის მეფეებს ამ საქმეში სათანადო დახმარება ვერ აღ-მოუჩინა. ალაზნის გაღმა ნაპირზე კი ამ დროს [illegible] ბრძოლა – გლეხებსა და "[illegible]" შორის არ წყდებოდა. სწორედ ასეთ სა-ბედისწერო მომენტში შემოიჭრნენ ოსმალთა ჯარები აღმოსავლეთ სა-ქართველოში.

ქართლსა და კახეთში დაპყრობისათვის მეზობელი ოსმალები, ბუნებრივია. მოწყალების ხელს გაუწვდიდნენ საქართველოს მთაში მყოფ დაღესტნელ ფეოდალებს, რომლებიც იმ დროს დიდ ზიანს აყენებ-დნენ არა მარტო საქართველოს, არამედ თვით დაღესტანსაც. "ისინი აწარმოებდნენ გამანადგურებელ ომებს შამყუნის შიგნით და განუწყვეტ-ლივ თავს ესხმოდნენ ამიერკავკასიას, სწყვეტდნენ და მთის გზებს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთის ველი და მდიდარი კულტუ-რის გადმონისაგან" (89, გვ. 428).

ქართლ-კახეთისათვის შექმნილ საბედისწერო ვითარებაში ოსმალო დამპყრობლების მზაკვრობითა და ენერგიული მხარდაჭერით აღჭურვი-ლი კახეთში დაღესტნელი ფეოდალ-ალალარების ბატონობა განმტკიცდა და საქართველოს ეს კუთხე, ელისუს სასულთნოსთან ერთად, საბოლოოდ მოწყდა დედასამშობლოს. მე-18 საუკუნის 20-იანი წლებიდან კახე-თის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი კიდევ უფრო ვიწროვდება. ამიე-

რიგან მდინარე ყაფუ-ჩაიდან დასავლეთით, გავაზისწყალზე ინაცვლებს. ხოლო 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით დაუმტკიცა ჭარელ ლეკებს მათ მიერ მიტაცებული ქვეყანა იმ სამსახურისთვის, რომელიც ჭარელებმა მართლმორწმუნეთა ფადიშაჰს ისლამის გავრცელების საქმეში აჩვენეს (89, გვ. 428). ამრიგად, [illegible] ოსმალეთმა მტაცებელ ჭარელებს გავაზის წყალსა და ყაფუჩაის შორის მდებარე კალთა ბარი საშვილიშვილოდ დაუმტკიცა. ამის შემდეგ გამაჰმადიანებული ლეკური "უპატრონო თემები" მეპატრონე თემებად იქცნენ დაპყრობილი ქართული სოფლები ჭარელებმა მძიმე დაბეგრეს. ამავე დროს ისინი იქ მოსახლე ქართველობას აიძულებდნენ თანდათანობით მიეღოთ მაჰმადიანობა. აი, ასეთ "დამორჩილებულ დაბეგრილ ქართველებს ეწოდა "ინგილო" განსხვავებით ლეკისაგან", რომელშიაც უპირატესად იგულისხმებოდა მეპატრონე ან თავისუფალი, იმის მიუხედავად, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი, წახურელი თუ ქართველი ("გალეკებული"). ასე რომ, "ლეკი" და "ინგილო" უფრო სოციალური შინაარსის ცნებებია, ვიდრე ეთნიკური" (58, გვ. 275).

ასე წარმოიშვა საქართველოს მიწაზე აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) ეს ახალი პოლიტიკური ერთეული "უპატრონო" ლეკური თემების ჭარ-ბელაქნელი ჯამაათების სახელწოდებით, რომელსაც მალე ელისუს სასულთნოც დაიქვემდებარა და დაღესტნელ ფეოდალ-აზნაურთა თუ ოსმალეთის სულთნის მხარდაჭერით ზურგგამაგრებული, ქართლ-კახეთს მოსვენებას არ აძლევდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, როგორც ჩანს, კახეთის მეფე კონსტანტინე "ოსმალეთში" უფრო დიდ მორიგებას ხედავდა, ვიდრე ლეკებში, რომელსაც იგი პერიოდულად მათ ეზავებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად; მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, ასეთი დანაკავება ყოველთვის პირობითი იყო და იგი ხელს არ უშლიდა ლეკებს სურვილისამებრ გაეძარცვათ ბოლომდე "დაშინება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ოხრება კახეთსა შინა".

ამასთანავე ვახტანგ მეექვსისთვისაც და კონსტანტინე კახთა მეფისათვისაც სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ისინი ოსმალებს მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებოდნენ, რომ ამისათვის საჭირო იყო მათი ძალების გაერთიანება. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე მოხდა მათი შერიგება.

როდესაც ბაქარი თბილისიდან ოსმალებს გაექცა, იგი აღმი (სურამის მახლობლად) ჩავიდა, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ვახტანგი. მამა-შვილმა შეიმუშავეს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მჭიდრო საბრძოლო კავშირის შექმნას. ამ კავშირში გარდა ქართლის მეფისა, უნდა შესულიყვნენ კახეთის მეფე კონსტანტინე და სომეხთა საბრძოლო გაერთიანებები.

1724 წლის დამდეგს ვახტანგთან შეხვედრის შემდეგ ბაქარი მცხეთაში ჩავიდა. კონსტანტინე, თავისი ძმის თეიმურაზის დახმარებით, რომელიც იმ დროს მცხეთაში იმყოფებოდა, ბაქარს დაუკავშირდა.

მცხეთაში ბაქარისა და კონსტანტინეს შეხვედრა წარმატებით დამთავრდა, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს: "ჰყვეს პირი ერთობა-სიყვარულისა... რათა ბრძოდნენ ორნივე ოსმალთა" (16, გვ. 622).

ამ შეხვედრის დროს ბაქარსა და კონსტანტინეს შორის დაიდო საიდუმლო კავშირი ოსმალების წინააღმდეგ. ამის შესახებ მათ აცნობეს სომეხთა საბრძოლო გაერთიანებებს და ოსმალთა წინააღმდეგ ომისათვის მოუწოდეს. კონსტანტინე მაჰმადყულიხანმა ასევე ირანის ყეენთან წარგზავნა სპეციალური სავედრებელი, რომლის პირითაც აცნობა მისი და ბაქარის შეთანხმება და სთხოვა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება. ამ ფაქტის შესახებ კახთა მეფე ერეკლე I-ის ელჩისაც აცნობა: "Я (Константин) шахом Навас ханом (Бакаром) сносился о побеждении неприятеля через угодные способы как

ეროვნული
ბიბლიოთეკა



бы их победить и о Вашем прибытии Шах-Навас хану я сказывал... и о некоторых делах согласились. А когда к нам прибудете, желаем о том согласиться и с Вами". (90, с.166).

ვახტანგ VI, ბაქარმა და კონსტანტინემ კავშირი დაამყარეს პეტრე I-ის ელჩთან და ოსმალეთთან ბრძოლის თავისი გეგმა გააცნეს.

ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა კონსტანტინე კახთა მეფე. ამის შესახებ პროფესორი ა. იოანისიანი წერს: "Константин уйдя в Кахетию и признав главенство Бакара в Картли, вступил на путь вооруженной борьбы с турками. Отныне он будет в меру своих сил руководить освободительным движением народов Закавказья в целом". (46, т.II, ч.I, с. LII; 90, с.166).

1724 წლის 6 აპრილს განჯაში დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოხდა ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური და სამხედრო გაერთიანება. ეს ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა "... При посредничестве главы грузинских феодалов Закавказья Махмет Кули-Хана (Константина) (90, с.166).

ამრიგად, კონსტანტინე კახთა მეფე გამოდის მთელი ამიერკავკასიის ანტიოსმალური ძალების დამრაზმველად და ხელმძღვანელად.

ანტიოსმალური კავშირის მონაწილეებმა შეიმუშავეს ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნის ერთიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც, ოსმალებს წინააღმდეგ შეტევა ერთდროულად უნდა დაეწყოთ აღმოსავლეთიდან (განჯა-შამშადინიეს რაიონიდან) და დასავლეთიდან (გორ-ხანის [illegible] მეხეთის მახლობლად). მოკავშირეები უნდა გაერთიანებულიყვნენ სიღნაღის ველზე და შეეტიათ თბილისისათვის. ქართლის ლაშქრის მეწინავე ერთიანი ძალებით უნდა დაეწყოთ ერევ-

ნისკენ და გათავისუფლებისათვის იგი ოსმალთა აღუძრავან (8, გვ. 34).

ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ეს გეგმა მოეწონებოდა იყო ბედუქავებული და გულისხმიერად მოკავშირეთა ერთობლივ და დანაპირ-ეთ მოქმედებას. მაგრამ განჯელები არჩიანენ, რადგანაც ერევნის მოსახლეობამ გაწყვიტა, შამხალისინესა და შაჰმადიარიებანის დამმარცხ-ება სურდათ. ასეთ ვითარებაში "განჯელები ერევნის დასახმარებლად წავიდნენ და ქართველებზე აღარ აპირებდნენ. ამიერიდან დაიძრ-ნენ და თბილისზე განზრახვით წამოვიდნენ. ყაზახში შეებანე სიღნა-ში დაიჭირეს და სახელდებულ დაგას მიაღწნეს აღაფუმითა და ნადავლის ხვეჭით" (8, გვ. 34). განჯელების ასეთი მოქმედებით ჩაიშალა ოს-მალთა წინააღმდეგ მოქმედების ერთობლივი გეგმა. ოსმალებმა მიზეზ-ხებულად გამოიყენეს ეს ვითარება და ცალ-ცალკე დაამარცხეს თავი-სი მოწინააღმდეგეები. როგორც ჩანს, კონსტანტინე-თავისი კახელებით-თა და ქართლი ლეკებით მაშინ შეებნენ ყაზახთან ოსმალებს და დამარ-ცხებულა კიდეც. ამ ბრძოლის შესახებ ვახუშტი ასე მოგვითხრობს: "ამისი შემთხვევით ოსმალნი მოვიდნენ და გარდახდნენ ხრამისას მდგრ ფს, ივლტოდა მაჰმად-ყული-ხან და წარიღეს მისნი ყოველნი ხარჭებიანურთ ოსმალთა, ხოლო მაჰმად-ყული-ხან მოვიდა განჯას და განჯელთა არა მიუშვეს ქალაქსა შინა (რამეთუ იქმნა ძმისწული შაჰმად-ყულიხანისა მაჰმად მირზა მის წილ, რამეთუ მიუხუნა რა ერევანი, ყეენმა მის-ცა მის წილ განჯა), ვინაითგან ეშინოდათ განჯელთა ოსმალთაგან. ვარნა უძღუნეს ძღვნი გარეშეალაქისა; შემდეგ წარმოვიდა კახეთს. არამედ აქუნდა შიშიცა ლეკთაგან და ივლტოდა ლამე მტკვრის კიდესა ეჭიკოშიასა ქურასითა და მოვიდა საგარეჯოს. მაშინვე მოაღწენე ლეკნი და ვერდარჩისა მყოფელი განიძლო ლამით და მივიდა თელავს და განაშვავრა იგი" (15, გვ. 622). როგორც ვხედავთ, კონსტანტინეს ხელ-ში ჩავდება მის მიერვე მოყვანილ ლეკების ჯგუფი, მაგრამ-კახთა მეფის მათგან თავი დაუღწევია და თელავს შეხიზნულა, რადგან მთელ

კარგან მარწილი ლეკები მოედებოდნენ. რაკი ქვეყანა უკაცრიელი დარჩა "ლეკთა დაიპყრეს კახეთი, მაჰმადიან-ყვნეს და დაუდგინეს მღვდელი მათნი დაბნეულთა, ციხე-სიმაგრეთა შინა" (16, გვ. 622). ლეკების მიერ კახეთის ამ დაპყრობას უნდა გულისხმობდეს ალბათ ფარის იმერის ქრონიკის ავტორიც, რომელიც წერს, რომ "კახეთი თალისა და ფარიდ იყო დამორჩილებული, ვით მეზობელთ მმართველის მხევ კი აღავსილი და ლეკავი ჟაჟაზსა და გაუქაანაბელთ" (50, გვ. 10).

ერთით მიდგმილ ქართველთ ცხოვრებასთან დაკავშირებით, საინტერესო ვერსიებით, რომ ირაქლის – კონსტანტინეს ლეკთა მოძალების ჟამს დამარცხებულის სავარგული და მისაკუთრებულ თელავს, – აღნიშნავს მიდგომით ალბათ ამ საკითხთან დაკავშირებით ვარლამ ჟინჟიას ცნობები. იგი აღნიშნავს, რომ "ლაზუტების მოთხრობაში "თელავი" უადგილო ადგილის მცენარეული ხეების მოგზაურის სახელი – "თვალივს". ამ ცნობისთვის დროს იგი ეყრდნობა დავით გურამიშვილს, რომელიც წვრილად იცის, რომ ამ დროს კახეთიდან გაქცეული ლაკი კაცები და ქვეყნის მეფე წერილობითი იყვნენ მხარში:

"კახნი ბატონმა მიიწია ცხვა-ზედსხვერეთის კიდესა,
კაცად ერთ-მეორე ლეკიეუსა მიერე უკვე მოიკიდესა"(7, გვ. 107)

ლეკიგი ჩვენებისთვის თითქმის წყლის საჭიროსთან. ამრიგად, ვარლამ ჟინჟია ასკვნის, რომ "ამ წყლის მრგვლის მითითებით ადგილის უნდა წავიკითხოთ: "კონსტანტინე სავარსულიდან "ვანიველი დამით და ნივრით ლეკივს (არა თელავს) და ვანიმავრა იყო. ხოლო ლეკთა დაიპყრეს კახეთი" (69, გვ. 103-104).

ამრიგად, ამ პერიოდში ოსმალთა წინააღმდეგ მმართველობას დაღესტნელ ფეოდალთა თარეშის უმაღლებთა, მავრამ, მ ვრიც რამე, კახელებს აწხანის "ოსმალობა" მაინც ჯერ არ მოეღებოდა მიამ-დამ, ვიდრე ლეკები და თავიანთი ცნობილი ძალებით ხშირად ჩის

წინააღმდეგ წარმართეს; მეორე, ამ ბრძოლაში, როგორც აღვნიშნეთ, თვით ლეკებიც კი მეკავშირეობს. ასე რომ, "ოსმალობის" წინააღმდეგ გაერთიანდა სპარსული ორიენტაციის მიმდევრები კონსტანტინე კახთა მეფის მეთაურობით და ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქართველოში დარჩენილი ხელმძღვანელები, რომელთაც მეთაურობდა გივი ამილახორი. ქართლში ასევე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავეებად გამოდიან მაჩაბლები, ქსნის ერისთავი და თავად არაგვის ერისთავი. ამ ამბავს გურჯინავე "თბილისის დავთრების წიგნში" ასე მოგვითხრობს: "თუმცა ქართლის ვილაიეთი გაერთიანებულ სიტყვით მორჩილებაში იყო, თითქმის სამრუნავი მოიცილეს, მაგრამ თბილისს დაქვემდებარებული ყარაკალკანის (არაგვის საერისთავო - ნ.ს.) და ქსნის ერისთავები, სადაც ცხოვრობენ იმ მთების მცხოვრებნი, დათვის თანავარსკვლავეთამდე წვდნენ მაღლა რეამბეობენ თავებს, იყვნენ ურჩები და ფანატიკოსი ბუდუღუნები... ავკოვებენ ურთერთ ნატერწყალს, დაუმორჩილებელი, მკაცრი ბუნების ველურები ერთგულების ფიცის მზემ სულმდაბლად ჯანყდებიან და ეშმაკობისა და თვალთმაქცობის დაწყევლილ საქმეში შეუდარებელნი არიან" (გვ. 51). აქვე გურჯიშავე კონსტანტინე მაჰმადყულიხანის შესახებ გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობას, რითაც კვლავ დასტურდება, რომ კონსტანტინე ამ დროს იპყრობდა თბილისს და არა თელავს. "ხსენებული მაჰმად-ყული-ხანიც ყარაკალკანის მთებში ცხოვრობდა და ელოდა, როდის დადგებოდა ლო-ლაქის მხარე თესლის მკის დრო" (იქვე).

აჯანყებულმა ქართველებმა დახმარებისათვის კონსტანტინეს მიმართეს და მოუწოდეს მას სათავეში ჩასდგომოდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას. "შემდგომად ვახტანგ მეფისა წასვლისა რუსეთს (1724 წლის ივლისი - ნ.ს.),- წერს ვახუშტი, - შემოსხნენ ქართველნი მაჰმად-ყულიხანს, რათა მოვიდეს სათა კახეთისათა, განაძრონ ოსმალნი და იყოს მეფე მათდა" (75, გვ. 622).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1724 წლის სექტემბერში კონსტანტინე კახთა მეფის ხელმძღვანელობით ქართველთა ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა; ისტორიულ ლიტერატურაში ფაქტობრივად შეუსწავლელია. თვით ისეთ შემაჯამებელ ნაშრომშიც კი, როგორიცაა "საქართველოს ისტორიის ნარკვევები", არაფერია ნათქვამი ამ ომის შესახებ. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ სათანადო წყაროთა შესწავლის შედეგად დაწვრილებით გაგვეშუქებინა ეს ამბავი.

ამ ამბავს იესე ტლაშაძე პოემა "კახთაიკონ-ბაქარიანში" ასე გადმოგვცემს:

"კახნი ბაქარის შეიყრნენ, რომ ვაჰკვანთ აიყარათ,
დაახლოთ ქართლი წავიღეთ, დიდი მთა გადიარათ,
მაშინვე კაცი გაგზავნა, ლაშქარი შეიყარათ:
"წავალ აღვიქმყარ ურჯულოს, ქართლს დავაბრძე ათათ".
მან შეიყარა ლაშქარი ხევი, კიდეთ და ფშავეთა,
ურჯულოს შეუხვდნენ ბრძოლით: "ვარ მტერზე გავიმარჯვებ,
შენ მარჯვე ძლევა მომეცი, ღმერთ დაუფარე შავისა,
ტლაშის გაუყო ჯარელი, რამე მაქვს, რაც მაზავია" (გვ. 32).

კონსტანტინემ შეკრიბა ლაშქარი და წამოვიდა ქართლში. თან წაიყვანა კახელები და ფშავები, ჩამოვიდა მუხრანში, საიდან მას ანანურიდან ჩამოვიდა მისი ძმა თეიმურაზი მთიულების, ფშაველებისა და ხევსურთა ლაშქრებით. კონსტანტინეს აქვე შეუერთდნენ არაგვისა და ქსნის ერისთავები. აქედან ქართველთა ჯარი გორისკენ დაიძრა. თედოწმინდაში ([illegible]) რომ ჩავიდნენ, კონსტანტინეს საამილახვროსა და საციციანოს ჯარებიც შეუერთდნენ.

"ჩამოდგა თედოწმინდასა, ერთად ლაშქარი დიდია,
შამაღაზ ასის მარცხნივ, არა აქვს ბჭობა დიდია"
("ბაქარიანი", გვ. 34).

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი; აქვე არიან ქართლსაც გამოცდილი სარდლები – ავთომან ლახი ბატონი კონსტანტინე, მისი ძმა თეიმურაზი, გივი ამილახვარი, შალვა ქსნის ერისთავი, იოთამ არაგვის ერისთავი, ციციშვილი და თუშ-ფშავ-ხევსურთა მეთაურნი.

თურქი მემატიანე ფეჩევი ჩელები-ზადე ამ დროს ქართლში დატყდებული აჯანყების შესახებ წერს: "მაჰმად-ყული-ხანად წოდებულმა ურჯულომ სარწმუნოება შეიცვალა და ქართველ ბეგებისაგან კონსტანტინედ იწოდა. ხელისუფლების ტვირთი დაიკავა და გურჯისტანის ხანის სახელი ჩაიგდო. ერისთავებმა, თავადებმა და აზნაურებმა მორჩილება განუცხადეს. ქართველები, თუმცა მტრიდან რომ გარს ედგნენ, მასთან მივიდნენ და კავშირი შეკრეს. ყარაყალყანისა და ქსნის ერისთავები 10 000-ზე მეტი მოლაშქრით... გორის ციხის ასაღებად წავიდნენ" (8, გვ. 54).

აჯანყებულმა ქართველებმა მოქმედების გეგმა შეიმუშავეს: მათ გადაწყვიტეს ოსმალთა წინააღმდეგ შეტევა გორიდან დაეწყოთ, გაეთავისუფლებინათ გორის ციხე, იქიდან კი თბილისისათვის შეეტიათ, გაედევნათ ოსმალები დედაქალაქიდან და გაეწმინდათ ქართლი მტრისაგან. ამ ამბების თვითმხილველი ფურჯი-ზადე წერს: "უსჯულოთა ჯოგი ურიცხვი ლაშქრით ყარაყალყანისა და ქსნის მთებიდან ჩამოვიდა... ხვალ თუ არა ზეგ გორის ციხეს ალყა უნდა შემოარტყან. ქართლის ვილაიეთში ყველა, ვინც აქამდე მორჩილებას უცხადებდა, ახლა აშკარად თუ ფარულად ფიცს დაარღვევს და ხსენებულს დაემორჩილება. გორის ციხეს ჩაგდებაში თავიანთ დამპყრობი ფეხი ერთხელ თუ შედგეს, ხსენებული ციხისაგან ხეირი აღარ იქნება" (8, გვ. 35).

იესე ტლაშაძე კი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს:

"შეიტყო რაჯაფ ფაშამა მამად-ყულ მოვა ჯარითა,
მას ფერი ეცვა, ვაყვითლდა, თავს მრუ დაესხა ჯავრითა,

ჰან ვაქძარა ლაშქარი: "თქვენ გორსა მიუსწარითა,
ევადეთ ხელში ჩაიგდოთ, ფიცხლავ აქ ჩამომგვარითა"
("ვაქარიანი", გვ. 33).

ქართველთა ლაშქარი თელეთწინამდილან გორისკენ წამოსულა. ამ დროს "კონსტანტინეს თითქოს 10 000-ზე მეტი ქართველი მეომარი ჰყავდა, ჩასვე მეთერთმეტენ განჯის, შამშადილისა და ლეკის ჯარები. (შამშად-ჰელი-ხანს, როგორც ეტყობის ბატონს, ალბათ სომხეთიც მფლო-ობდნენ ამ ომში – ნ. ს.). კონსტანტინემ გორის არაქართველ მოსახლე-ობას შეუკვეთი გამოაცხადა და ბარობა დაადებინა, რომ რაკი-და მის ეხარეს ბრძოლა არ ისურვეს ("მშვიდობიანი ცხოვრება სურდათ"), არც ოსმალოს მხარეზე უნდა გამოსულიყვნენ. ხოლო გორის ქართველ მოსახლეობას, ცხადია, ასეთი ცაფრთხილება არ ესაჭიროებოდა. კონს-ტანტინემ გორში ქართველი მღვდელი მიიწვია და ქართველ მოთავეებს – ერისთავებს, თავადებს, აზნაურებს ერთგულების ფიცი დაადებინა" (79, გვ. 147).

1724 წლის სექტემბრის დამდეგს ვადამწყვეტი ბრძოლა ქართვე-ლებსა და ოსმალებს შორის მომხდარა გორის მახლობლად მეჯვრისხევთან (ვეჯთისხთან):

"კაბი ბატონი წავიდა, მიმართა მეჯავეღისა;
"კარგა მტერი თვის მადლსა", – გული ძლიერ ყვავდასა,
"მაის გამოისამოსს იმოვნით, თმეენსა გადაგუნით ძველისა,
ცილი ვამამოევთ, ამოვაწყვეთ, ტოლისგან ველი მეველისა".
არჩიეს თმი, მაგრამ ეს ომეკი ომიდ ავათა,
მოგი წავიდა გეჭიანე, ოთანი ძისეცს თავათა,
მთის კაცი გარე ედგია; მიეწიეწთო მაგათა"...
("ვაქარიანი", გვ. 35).

ამ ამბების თანამედროვე დაცვით გვიამბობნებიან კი ამ ბრძო-ლის ოთხი ბანა მიუძღვნა (314, 315, 316 და 317). ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყვნენ მკვლევრები (ალ. ბარამიძე, გ. ლეონიძე, ვ. დონდუა, ე. სვანიძე და სხვანი), რომლებიც ფიქრობენ, რომ დ. გურამიშვილი თვითონაც მონაწილეობდა ამ ომში. აღნიშნულ აზრიდან დ. გურამიშვილი წერს: "არ იმართლა ლაშქარი შელავალგანზე დაბადვით" – თ. ამ ომის დასაწყისში ქართველებმა ხმლით ოსმალები და გარკვეული გამარჯვებაც მოიპოვეს: "მათ ჩვენმა ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შაჭრით" (69, გვ. 106). ან კიდევ:

"აქენის ბოლოს ქვეშა, ეშყვიან საარწივესა,
იქ შეუჭრიეს ურთმანეთს, შეიბნეს შეერივესა,
უწინ აჯობეს ქართველთა, ვაზრიკეს გააქციესა,
მრავალი სისხლი კაცისა, იმათ იქ დააქციესა"

(ვაქარიანი, გვ. 35)

ამასვე მიუთითებს ვახუშტიც: რომელსაც თურქებმა შეიტყვეს ქართველთა ლაშქრის მოძრაობის შესახებ, მათ გორის საშველად დაძრულებმა თან "წარმოიძღვანეს იესე საბარათიანოს აპიით და წარმოვიდნენ. ხოლო ქართველნი მიეგებნენ გუფთას, ეკვეთნენ და იძლივნენ ურჯულონი. მოუხდა იესე, მოაქცია ოსმალნი"... (16, გვ. 505). გუფთასთან დამარცხებული და გაქცეული თურქები იესემ უკან მოაბრუნა და ისევ საომარ მწყობრში ჩააყენა. ჩანს აქ თავისი "ძალა" გამოარჩინეს იმ ჯარებმა, რომელნიც, ჰამერის ცნობის თანახმად, თურქებმა გორს მიაყენეს რეჯებ – ფაშის (ახალციხე), იუსუფ-ფაშის (გორის ციხისთავი) და ისაყ-ფაშის (ჩილდირი) მეთაურობით. ამ შრავმენჭული ცნობებიდანაც კარგად ჩანს, რა უწყალო დაწოლა განიცადა გორის გასათავისუფლებლად მახვილამოწვდილმა ქართველმა ლაშქარმა. ასპარეზიდან გაქცეულ გივი ამილახვარს, რომელმაც თან "წარმოიყვანა" მაჰმადყულიხანი, "მოყუნენ ოსმალნი" კვალდაკვალ, ქართველები თუ მათი მოკავშირეები "მოსწყვიდნენ ესოდენ, რამეთუ თავნი ურჯულოთა წარიღო (სამშობლოს მოღალატემ) ერისთავი ყაფლანიშვილ-

მან ჭკუისს რაჯაბ-ყაშისა თანა, რომელმან მოსცა ოცდაათი დრაჰკა-ნი კიდეც, და გაიყიდეს ყოველი ქართლი" (16, გვ. 508; 69, გვ. 107).

"ვაი იმ დღეს! ოსმალონი შევრნენ უბრალოს სისხლს ღვრიდენ,
სადაც შეეწყვიდის ბეჩა კაცი, ვლახა-მწირსა თავსა სჭრიდენ"...
მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ ბრძოლაზე შაჭიერით,
ბავრის შელის კი დაბარჩხდა წინათვე ნალალატევით"(7, გვ. 107).

ამგვარად, "დავითიანის" მიხედვითაც, ბედავლისთან ქართ-ველთა ლაშქრის მეთაური კონსტანტინე იყო, ხოლო ქართველთა დამარ-ცხების ერთ-ერთი მიზეზი ღალატი, რომლის ინიციატორიც ქართლის მე-ფე იესე იყო, რომელიც ოსმალებმა 1724 წელს, ვახტანგ VI-ის რუ-სეთში წასვლისას, გაამეფეს ქართლში.

"არ ვიკვირს, ქართლი ისევე ქართველებს დააქცევინეს!
მრავალი სისხლი ქართველთა გულთაში დააქცევინეს,
გაგზავნეს კაცი ტომებზე, მათ გულები დაამწვევინეს
არ დაირჩინეს ცოცხალი, თავი არ დაარჩენევინეს.

. . . . . . . . . . .

კაცი რჩეული გულთაში უწყლოთა ამოსწყვიტესა,
არ დაარჩინეს ცოცხალი, სისხლსა ღვარივით ღვრიდესა...
ახვსეს გვამთა მდინარითა, ცრემლთა იარა ხევთ...
("დავითიანი" გვ. 35-36).

ბედავლისთან (ბედავლისთან) ომს ერთი ისტორიული მონაწილე-ბა ეხება: "ეს იყო საქართველოს ჯარების ვინიერი და წინააღმდეგი გამრძელება მრავალთა მხარეთან, რომელიც ... ... დაუნდობლად მოიკლე-ლებინა ... და სამწუხაროდ დამარცხდნენ ... . ეს ომი ... ... ... ... იყო, ... ... ... ... ... ... ... , რომელიც ... ... და ... ... ... ... ... , ... ... , ... ... , ... ... , ... ... ".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(90, გვ. 167).

ბედაყულისთან ომის შემდეგ იწყება ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი.

გორთან დამარცხებულმა კონსტანტინემ ლეკიანობის გამო კვლავ ვერ შეაფარა თავი კახეთს და იძულებული გახდა თავისი ოჯახით ხუნძახს გახიზნულიყო, სადაც დაახლოებით ერთ წლამდე დაჰყო. სხვა მრავალ ამბავთან ერთად, სწორედ ამ ამბის დამადასტურებელია 1724 წლის კონსტანტინე კახთა მეფის მიერ გაცემული შეწირვის წიგნი ლამისის ჯვრის გორისადმი: "...ქართლისა და კახეთის მეფემან, განჯისა და ყარაბაღის ბეგლარ ბეგმან და ნჭირაემან შამშადილისა და ყაზახის მქონებელმან და მპყრობელმან, მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან კონსტანტინემ... ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი და შეუცვალებელი... სამკვიდრით და საბოლოოდ გამოსადეგი და მტკიცედ დამტკიცებული მოუშლელი ძეგლი და შესაწირავი მოგართვით და შემოგწირეთ თქვენ ყოვლად დიდებულსა და ყოვლად ქებულსა მხედარსა ნეტარსა ღვთისასა მოწამესა წმიდასა გიორგის ლამისის ჯვარისა და კვალად მოუძღვრით მოყმეთა მოლაშქრეთა დეკანოზთა, ქადაგთა და სრულიად ფშაველთა, ამა პირსა ზედან, რომე კურთხეულის მამის ჩვენისათვის ნეფის ერეკლესათვის მრავალი სამსახური დაგვედვათ და ერთგულობა მამისა ჩვენისა ლაშქართა ფშაველთ ქართლის დაჭერაში და მრავალჯერ მისთვის ომი გექნათ და გაგვიმარჯვებინათ შეწევნითა მამისა ჩვენისა გიორგისათა და მრავალჯერ კურთხეულისა და სანატრელისა და ყოვლად მეფეთ უმჯობესისა პაპისა ჩვენის ბატონის ალიმურზასათვის თავი არ დაგვეზოგათ სამსახურზედ და მრავალი გემსახურნათ. კიდევ ნამეტნავი სამსახური ჩვენ ძმასთან მეფე იმამყული-ხანთან დაგვედვათ და გერჩენეთ..ნათ, მრავალჯერ მის წინ ომში ყოფილიყავით და გავემარჯვებინათ, სიკვდილითაც ბევრი მოგვკვდარიყავით. ხოლო ოდეს მოვიწიენით სამყოფთა ჩვენთა

საქართველოში ჩვენ და მანათა ბეჟის შვილები ერთმანეთზე ვლაშქრობდით. თქვენ თან გვახლდით მუდამად გაუყრელად და მრავალი ომი გარდაიხადეთ ჩვენს წინა, და ჩვენთან კვალად ოდეს მოვიდნენ ურჩნი საქართველოდ და ვილაშქრეთ მათ ზედან თქვენ მოძმისა ჩვენისა ლაშქარნი და დროშა, სრულ ყმაკაცნი თან გვახლდით, ოდეს ერთმანეთს შეეტაკნით მრავალნი მოკვდნენ ჩვენ წინ ურჩთაგან. ხოლო ოდეს არღა იყო ძლევა ჩვენი საქართველოში, არცა ერისთავობისა ადგილში. [illegible] ძმობა ჩვენი, რამეთუ ურჩთა დაიპყრეს იგი ადგილები. ხოლო იწყება მოძმეთან ჩვენთან და არა განგვეშორნა, არამედ [illegible] გვიძღვა ადგილად თვისად და მოვკლავთ ლაშქარი და მეფენი [illegible] წინაშე ჩვენსა, რომელთა [illegible] ბარგნი ჩვენნი მეფისა და [illegible] თქვენისა და [illegible] ადგილად თქვენდა საშყოფელისა მოძმისა ჩვენისასა წყალს და ვამსახურეთ ნასახლებითა ლოქითა [illegible] ნასახლება მოძმისა ჩვენსა ერთგულად, ეგრეთვე ჩვენ მისსა მოძმეს არამედ არა ეგრეთვე ვითარცა [illegible] ნასახლებათა თქვენთა არ გაუშვით [illegible] და მსახურებითა. მოძმისა ჩვენისა [illegible] და წყალობათა თქვენთათვის არამედ შევეწიროთ ლაშქრის ჯვარისა და შევიწყალეთ და ვიბრძოქვეყნისა მისდა მოყრება სრულიად [illegible] ნაძილისაი; რომარის კერძი განვიძეთ მოურავისა და [illegible] კერძ ვარდა, როსაც [illegible] მაწულისა ნარიხლში (ნარიყალაში) თათრი ურთიერთ ლაშქრის ჯვრისათვის შევწირავ და თქვენ [illegible] ვებრძებით სასახლე, ზვარი და მამული, [illegible] და [illegible] თა, რაჟამს გარდაუვალ მოურავის [illegible] და გამოვარჩევ და თქვენ წილადი. მოურავთ [illegible] იყოს იმ თქვენის [illegible] ადგილისა, [illegible] ჩვენს ერთგულობაში და სამსახურში"... (ცსა, ფ. 1449, ს. 23; 31, გვ. 94–95).

წყაროების მიხედვით ჩანს, რომ [illegible]

ხოლო შემდეგ კახელი გლეხობის "დახმარებით", რამდენადმე მაინც შეძლეს კახეთის ველი ტერიტორიების თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. ასეთ ვითარებას უმეტესად ფაგილი ემოწმება ის დრომდე, ვიდრე ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, ე.წ. ლეკური "უბატონო თემები" "მეპატრონეებად" გადაიქცეოდნენ. ამიერიდან ნელგმიწარეობა კახელ გლეხობასა და ერთ მეზობელ ლეკებს შორის არსებითად შეიცვალა, რამდენადაც ამ უკანასკნელებმა დაიწყეს კახელი გლეხობის არა მარტო დარბევა, არამედ გაბატონებაც კი. 1725 წლისათვის ჭარ-ბელაქნის "უბატონო თემებმა" ფაქტში თავიანთი წოდებრივა კიდევ უფრო გააფართოვეს. ახლა მათ მთელი კახეთის დაპყრობა განიზრახეს და თითქმის მიაღწიეს კიდეც. ვალმა მწარისა და ქიზიყის გლეხობამ ხელ ერთიანად "პირი მისცა ლეკებს". ზემო-დიდოელებს ასე შიგნით კახეთში ეძებოდნენ, სადაც მხოლოდ ორიოდე პუნქტი თელავი და ალავერდი დარჩათ ლეკებს აუღებელი.

ამრიგად, 1725 წელს კახეთის დაპყრობის შემდეგ ლეკებმა კახელ გლეხებს დანაპირები არ შეუსრულეს. მათ აქ [illegible] თვითონ ხალხს, ციხეები დაიჭირეს, მოლები მოასხეს და კახელ გლეხობას ერთბაშად გამაჰმადიანება დაუპირეს. სწორედ ამ წლებში კახელი გლეხების გალეკებისა და გამაჰმადიანების სურათს ასახავს ჩვენს მიერ ისტორიულ არქივში მიკვლეული წყალობის წიგნი, რომელიც 1728 წელს არის გაცემული ნიკოლოზ ალავერდელის მიერ შენიშნავან გოგიჭაშვილისადმი: "...ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ჩოლოყაშვილმან აბბა ალავერდელმან ნიკ~8 შენ ნიძინის გორგის ყმას კაკაბიძეს გოგიჭაშვილს მელ-მამზარს, ძმასა შენსა პეტრეს და ზურაბას, შვილსა შენსა მაქსიმეს, დავითს, პაპუნას, ვირზის, შვილსა და მომავალსა სახლისა შენისასა, ასე რომე შევეყარა ლეკისაგან დიდად ავიდა და კახეთის ბარში კაცი ვადავლეს და ამისთანას დროს თქვენ ლეკთან არ მისცე-

ვალ, რომელზე მტკიცე იყავით და ჩვენს მოსახლეებს წრილას გირჩევს და ჩვენ არ გვიღალატეთ და ერთგულად გვემსახურეთ, ამისდა პასუხად ჩვენც სიგელი ესე გიბოძეთ, მანამდის კაკაბეთი ჩვენ მოგვცემ-წილა, უწინაც მსახური და ახალი ყოფილიყავით, მეჯინიბობისაგან ამას უწინ გამოვიყვანეთ და ისე მსახურად გვახლდი და აწ კიდევ წიგნით ამით აზატობა დაგიმტკიცეთ და ეს წყალობა გიყავით, რადგან უწინაც აზატი იყავ და ჩვენც გააზატეთ შენ და შენის სახლის ჩამომავალი, არც გვითავარწერებიხართ არაფერი სათხოვარი და გამოსაღები შენს სახლს არ ეთხოვებოდეს რა, არა ქალი, არა ღვინო, არა საკლავი, არა საური და არა ურისთანა ყალანი და გამოსაღები შენს სახლს არა ეთხოვებოდეს რა, ერთის ლაშქარ-ნადირობისა და კარზე სამსახურის მეტი"... (33, ფ. 1449, ს. 2626).

დამპყრობლები ცდილობდნენ, რომ შიდა ქართლის დასავლეთად მათ საკუთარი ძალები არ ეყოფოდათ და დამხმარედ ჩამოსახლებული ავარ-ლები მოიწვიეს, ახალმა მებატონეებმა "მოასხეს... ქიზიყი და გაღმა მხარი, რომლის გამო ვერ მოძებნეს მოთმენა და ულალავეს მთ ნყოფა ლეკთა და ნაავალნი ლეკნი მოასწყვიტეს". მძიმე თე-ვიდან დაიწყო. თელავშიდამ დაამკვიდრეს ლეკთა ჯარი, რომელიც ქა-რიქის დაპყრობას ლამობდა. ლეკთა ეს დამკვიდრება საერთო აოხრების ნიშანი შეიქნა, გლეხებმა ქალის კარებში უმცროლ ქალებს მათ სახლებში ჩამომსხდარი აზატ-ნაჭრები. მაგრამ ბედის სიმტკიცე ესო-რა და ნასვლას არ აპირებდა. ასეთ პირობებში გლეხებმა ფშავში გა-ხიზნული მეფე ისევ უკან მოიწვიეს. გაძლიერებული თავად-აზნაურობა და ფეოდალური საერთოდ ტყვეობა თანდათან დაიპყრობდნენ თავიანთ საყმოს, თუ სამეფოში და მოუწყველი ბატონობისა და ქრისტიანობის აღდგენას მიელტვნენ (59, გვ. 315).

1725 წლის თელავთან ლეკების დამარცხება ცოტავადი წინანი ვახლა შიდა ქართლში მათ წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისა. კიზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანტინე თელავს ჩამოვიდა, კახელებიც მოუვიდნენ. ლეკებმა რო იხი-
ლეს "მაჰმადი ქართა" გადაწყვიტეს მათი ღალატი კონსტანტინე მე-
ფესთან. ქართა მეფეს კი ლეკებზე ადრე თურქთა წინააღმდეგ მძი-
ლანი გამოეყენება სცადა. კონსტანტინე და ლეკები შეიბნენ. ამ
ლაშქრების შეტევას ლეკებს ქართლზე სალაშქრო წასვლის შემთხვევა-
ში კონსტანტინესაგან კახეთზე მშვიდობიანად გავლის გარანტია უნ-
და მოეთხოვათ, ხოლო თვით კონსტანტინეს ამის სანაცვლოდ ქართლ-
ში მოპოვებული ნადავლის გარკვეული ნაწილი უნდა მიეღო. ვახუშტი
ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: "ქართლის ნატყვენავის ნაწილს მის-
ცემდნენ ლეკნი მაჰმად-ყულიხანს ხუთის-თავს ტყვეობისათვის და
უწოდა თავთ ძალთა შეკრებად, ძმად და მეყვისად" – (16, გვ. 523).
მართალია, ლეკებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ თარეშით კახე-
თის ძარცვა-რბევა, მაგრამ იმ დროს კახეთისათვის ეს პატარა ამო-
სუნთქვაც კი დიდ რამედ ღირდა. ამიერიდან ლეკები უმთავრესად
მაინც "უპატრონო და მტრიან" ქართლს და სამცხე-ჯავახეთს ესხმი-
ან თავს და ანადგურებენ. "საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ კონსტან-
ტინე კახთა მეფე ანტიოსმალური განწყობის მოღვაწე იყო და ლეკებ-
საც უმეტესად მათ წინააღმდეგ იყენებდა. ქართველთა კავშირი ამ
შემთხვევაში ლეკებთან იმდენად იყო განპირობებული, რამდენადაც
ლეკებიც იბრძოდნენ ოსმალების წინააღმდეგ და ეს კი თავისთავად
არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი იყო. მიუხედავად ლეკების კახელებისა-
დმი დაძაბული ურთიერთობისა, კახელები მაინც იმას ამჯობინებდნენ,
რომ ლეკები შეეკავშირებინათ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში.
ასეთი პოლიტიკა კი ალბათ იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ
კახეთში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ლეკებისადმი ასე ვთქვათ
"უპატრონობის" განწყობა. მეორეც, ქართლში ოსმალებისა და ქართლე-
ლების ბრძოლას ლეკების წინააღმდეგ ნაკლები ეფექტი ჰქონდა და
ბოლოს გამოჩნდა, რომ ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი ოსმალეთი

კონსტანტინეს თავის ჯარით უნდა მოეყვანა კახეთში, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა მის მიზანს. ამიტომ მოხდა, რომ კონსტანტინე, რომელიც ერთი მხრივ, თანმიმდევრული მებრძოლი იყო ლეკებისა და ოსმალების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ერთდროულად ლეკებთანაც ხავერ-ძოდა, ან გზას აძლევდა მათ ქართლზე, რათა მომენტის შესაბამისად გამოეყენებინა ისინი ოსმალების წინააღმდეგ" (61, გვ. 152-153).

კონსტანტინე მეფისა და კახელების შეუპოვარი ბრძოლის გამო, ოსმალებმა ერთი წლის მანძილზე ვერ შეძლეს კახეთში თავიანთი მიზნის განხორციელება: ქვეყანა ვერ დაიპყრეს, მაგრამ რაც დრო გადიოდა, კახეთის მეფის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ამიერკავკასია მთლიანად ჩოჯს გარდა, მალე ოსმალეთს დამორჩილებოდა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინე იძულებული გახდა ოსმალებს დაზავებოდა. ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი თავის ნაშრომში "ოსმალობა XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში", აღნიშნავს, რომ კონსტანტინე ოსმალებთან ამ დაზავების შემდეგ იძულებული იქნება მიიღოს ოსმალური მფარველობა. მანამდე კი კახთა მეფე შიას აღიარებდა (59, გვ. 319)(ჩვენთვის კი ცნობილია და ზემოთაც აღვნიშნეთ ნაშრომში, რომ კონსტანტინემ 1724 წელს უარყო მაჰმადიანობა და აღიარა ქრისტიანული სარწმუნოება. რაც შეეხება ოსმალური მფარველობის მიღებას, ჩვენის აზრით ბევრი ვეძებეთ არსებულ წყაროებში და ამ ფაქტს ვერსად ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ ნ. ბერძენიშვილის ეს ცნობა, რომელსაც მის ნაშრომში არ აქვს მითითებული წყარო, ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია). ოსმალებთან ამ ზავის დადების შემდეგ კონსტანტინემ ოსმალთა სამსახური და ხარკი იკისრა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ზავის არც ერთ მხარეს არ სჯეროდა. თავის მხრივ თბილისის ფაშა უნდობლად უყურებდა კახეთის მეფეს და მისი ოსმალებისადმი ერთგულება არა სჯეროდა. არც კონსტანტინე კახთა მეფე ენდობოდა ოსმალებს და თავის

სათანადოდ ფრთხილად ეჭირა.

1728 წელს ისაყ თბილისის ფაშამ შან-ბოლაღჩი დაიბარა. ჭარელებმა ამ ზავით თავიანთ დასასახლებლად მოითხოვეს კახეთის ბინა-წყალი გავაზამდე. ოსმალეთის სულთანმა მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა. მაგრამ ლეკებმა ქართლ-კახეთის რბევაზე არც ამის შემდეგ აიღეს ხელი. 1730 წელს ოსმალებმა და კახელებმა ჭარელები დაამარცხეს და აიძულეს ისინი ამას წინათ სულთნისაგან წყალობად ბოძებული კახური მიწები უკან დაებრუნებინათ (59, გვ.319). მაგრამ, როგორც ჩანს, ლეკებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ კახეთზე თავდასხმები. ლეკთა თარეშები კახეთში განსაკუთრებით ხშირი ყოფილა სოფელ გავაზის მხრიდან, როგორც კონსტანტინე მეფის ერთ-ერთი ბრძანებიდან ჩანს, მეფე გავაზელებს განსაკუთრებული სიმკაცრით მოუწოდებს მოურავის მორჩილებას და ამ სოფლის გამაგრებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ჩანს, კახეთის ხელისუფლება ამ სოფლიდან ხშირად აგზავნიდა მზვერავებს ბელაქანში, რათა მოუ-ლოდნელად არ მომხდარიყო ლეკთა შემოსევები: "ქ. გავაზიანებო სულ ერთობილნო გავაზელნო, მერმე ჩვენ რომ მოურავი ამაზედ დაგვიყენებია, რომ რაც არ ჩვენი სასახლური და არ მაგ სოფლის გამოსადეგი საქმე ყოფილიყო თქვენ ის მაგისთვის დაგეჯერებინათ... ყველა რასაც დროს მაგან დაგიძახოთ ან ლაშქრის ამბავზედ ან ჩვენს სამსახურ-ზედ უყოვნებლად და დაუჯერებლად. თორემ ბედლშიდის თავის მზემან ცუდად აგათ მოვეპყრობით ვინც არ დაუჯერებს. ბელაქანში მზვერავები გაგზავნეთ ვინც მაგან გითხრათ. შეიტყვეთ ბელაქანში ჯარის ამბა-ვი არის რამე თუ არა და შეგვატყობინეთ იქაური ამბავი. როგორც უწინ გემოყრებინოთ ახლაც ასე გაუმზეთ. მაგ სოფლის სიმაგრეს და ყარაულობას კარგად უვლიდეთ" (34. Hd 14185). ამგვარად, რო-გორც კონსტანტინე მეფის ამ ბრძანებიდან ირკვევა, კახეთის სა-მეფო ხელისუფლება ალაზნის გაღმა მხრიდან ყოველ წუთს მოელოდა

ხოლო ლეკთა თავდასხმებს და ანარქიას კახეთის ამ მხარეში მეფე კონსტანტინე ცდილობს მთელი სიმკაცრით განახორციელოს ლეკთა თავ-შეტევისაგან ქვეყნის დასაცავად საჭირო ღონისძიებები.

ამასობაში ირანის პოლიტიკური მდგომარეობა 1727 წლიდან თანდათან გამოსწორდა. თამაზ-შაჰის წინამძღოლმა სარდალმა, ნადირმა ჯერ ავღანელი დამპყრობლები განდევნა ირანიდან 1730 წელს, შემდეგ კი ოსმალეთს შეუტია. 1731 წელს ოსმალთა ჯარი დაამარცხა ჰამადანთან და მთელი აზერბაიჯანიც მტერს ხელიდან გამოსტაცა. ირანელთა ამ გამარჯვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოზე. ქართველებისათვის შეიძლებოდა ოსმალო დამპყრობელთა უღლისაგან განთავისუფლების იმედი მიეცათ. ენერგიულად ამოქმედდნენ ვახტანგ VI-ის მომხრეები.

კონსტანტინე მეფე არც ახლაც იჩენდა ოსმალთა წინაშე მაინცდამაინც ერთგულებას. (განსაკუთრებით ლეკთა საკითხში მას მეტად რთული მდგომარეობა ჰქონდა). ამის შემდეგ კი ოსმალებისათვის კახეთის მეფე კიდევ უფრო საეჭვო ხდებოდა. კონსტანტინეს მესაზღვრე ოსმალებთან შეხლისას არ ერიდებოდა ვახტანგის ერთგული ბარძიმ არაგვის ერისთავიც, რომლის ბიძაშვილი რევაზი კახეთის მეფეს თავისთან ჰყავდა. რევაზის საშუალებით კონსტანტინე არაგვის საერისთავოს ("ლეკური გზის") ხელში ჩაგდებას ცდილობდა. სწორედ 1731 წელს კონსტანტინემ, როგორც აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი (59, გვ. 320), ლეკთა ჯარით გაიარა მთიულეთი და ხევის (სნოს და არშას) დაწვა სოფლები, მაგრამ საქმე წარმატებით ვერ დამთავრდა. ბარძიმ ერისთავმა კონსტანტინეს ეს შეტევა მოიგერია. ყოველივე ამის შესახებ ბარძიმ ერისთავი იმავე 1731 წელს აცნობებდა რუსეთში მყოფ ვახტანგ VI-ს და ურჩევდა, რომ დაბრუნებულიყო საქართველოში და ქართლის ტახტს დაპატრონებოდა: "...ეს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ლეკისაგან. [illegible] [illegible] ქართლის

ჯარი შემოიყარეს, ციხეებიც დაიჭირეს და ქვარიც დააზიანეს. გარეთუ-ბანსა და ავლაბარის სახლებზე, თუშეთი დაიჭირეს. კახნი ბატონმა თუ-რქეთში მიშველა, ორი კვირა დაპყრობილი იყო, რამე ჩვე ჩამოვიდა, ხევსურეთი წინიდან დაიჭირეს: მე რომ აზნაურის მოვედი, თუშნი წინ მოეშველებოდნენ. სხვა არავინ ლეკი ხსნეს და არავის მოხმობდნენ, ხევსურეთი გამოელეთ და სხივეე ჩამოსული იყო. ჯარი შევიყარე-თი და ჩვენი ყმა, სამ პირად მოვედით. მანამდე მე მოვიდოდი, ციხიდამ ძალა იქნა, ასი კაცი მოვკლით, თავს დავესხენით, როგორც გაგვემარჯვა, ეს ნშეელიშვილი მოგახსენებთ. ხევსურეთამდის მივყე-ვით, თქვენმა დოვლათმა ასე გამარჯვება გვიყო, ფშავი და ხევსურე-თი გაგვიერთდა, მე და მანამდეც ერთნი შევიქენით... თუ ახლა ქართლს მოეპატრონეთ, ასე თქვენია, როგორადაც ხელისსახლი გიძეთ ჯიბე-ში ისე თქვენია... კახ ბატონის ფიქრი ეს არის, რევაზ ხელში ჰყავს, იმის მიზეზით ამ ქვეყანას წაართმევს, თვითონ დაიჭერს. თუ ეს ქვეყანა დაიჭირა, ლეკისა პირი აქვს მიცემული, ამ გზას ეს დაიჭერს: მანამდი შენს შვილს ყეენთან არ გაგზავნი, მანამ ამ ქვეყანას ველარ დაიჭერ. დრო ეს არის. თუშეთი წაართვეს, ფშავი მე მოვიგიდა, დიაღ დასუსტებული არის, ნურარ ადრიოებ რომ გაძლიერდეს. უფრო ისე დასუსტდა, რომ ბევრადი წაართვეს, ორი ასი კაცი არ არის ქართლში, მანამდე მე ეს გზა მიჭირავს მოზძავლით, ხონთქარი, ყეენი თქვენ შემოეხვეწება, ეს ქვეყა-ნაც მუქთად თქვენ დაგრჩებათ"... (47, გვ. 191-192).

ამ ამბების შემდეგ ოსმალებმა კონსტანტინე კახთა მეფეს მოსთხოვეს წელს ქართლის ერისთავების დალაშქვრა: "ქორონიკონს უით (1731 წ.) თვესა ივლისსა შეუხდნენ ქსნის ერისთავს მაჩმეს, კახი ბატონი, ურუმი ჯარი და ქართველნი, მრავალი სული დაატყვე-ვეს, დასწვეს სოფლები, კლდე თუ კოშკი და მესერი, საცხენესი

და ქვაბები, დააქციეს ციხე ვანათისა, ბილოს შეებრძოლნენ ერისთა-ვი ჩაიწვა და შეიპყრეს, მოსჭრეს სამაჩაბლოს, აიღეს ციხე სვერისა და დააქციეს გაღმა-გამოღმა თრიკ ციხე"... (40, გვ. 47). ვახუშტი ბატონიშვილი კი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: "...ამისა შემდგომად მოუწოდნეს ოსმალთა, რათა ულაშქრონ მათ ერისთავთა ზედა ქართლისა-თა. ამათვე მიწადგვან წელს იყო მაჭმად-ყულიხან მიწვევისი ეპატიო-ყოფისათვის წინათქმულთა, ამისთვის შემოიკრიბნა სპანი კახთა და ჯარიკვანნა ჩიჯადად ლეკნი მრავალნი, და მიჰყვა თავადთ; და რა მოადგნენ ოსმალნი ლეხურს, და ვერღარა დაუდგა რევაზ ერისთავი და წარვიდა ბორჯომს.

ხოლო მაჭმად-ყულიხან წავიდა ანანურს, გამოიღო ჩარდახები და წარმოგზავნა თელავს და დასვეს ერისთავად მის ადგილს ოსმალთა. მერე მოვიდნენ ვანათს, შეებრძოლნენ ლიახვსა ზედა წვეთს და იქმ-ნაცა ვისარცა ალუმიერი" (16, გვ. 623-624).

ამის შემდეგ ქართლიდან უკან მიბრუნებულმა ოსმალებმა თავდა-ჯით მოინდომეს კონსტანტინე კახთა მეფის შეპყრობა და გორში დაიბა-რეს. რადგან "ამისი მცნობი მაჭმად-ყულიხან წარმოვიდა ტაბით და მოვიდა თელავს და იყოფოდა ბევრ"... (16, გვ. 624).

თელავში გამართების შემდეგ ეგრეთ დაიწყება უთანხმოება კონს-ტანტინე კახთა მეფესა და ოსმალებს შორის. ოსმალთა სულისჩამდგმ-ლისათვის კახთა მეფის გაძევება კიდევ უფრო საქმედ შეიქმნა და ის-ტორიკ ს. ბურძაძე გადმოგვცემს: "კონსტანტინემ ეს ქრისტიანობის-თვის კუ (ე. ი. 1732 წლის 27 დეკემბერი) მივიდა სპარსოლიდამ უსაფ-რთა ქალაქს და გაილაშქრა კახეთს" (40, გვ. 43). კახეთში შესვლის შემდეგ ისაყ ომბილისის ფაშას ეწვია იოსებამბან, თავის და ხონთქ-რის ერთგულის გამოსაცხადებლად მისთვის კახეთის დამპყრობის შე-სახებ, კახთა მეფე კონსტანტინე ბატონ-ბაგს (ქართლის მახლობლად) მიიწვია. აქვე იყო ამ დროს ხუნზახ-ხანი შემახიელი. ურთხილი

კონსტანტინე საჭირბეს გრძნობდა და მისვლას არ ფიქრობდა. ფშავში გახიზვნას აპირებდა, მაგრამ ალავერდელისა და ზოგიერთი სხვა დიდებულის რჩევით მაინც ეახლა ფაშას, რომელმაც ის დიდი პატივისცემით მიიღო, მაგრამ დარბაზიდან გამავალს ზურგში უკან დასაბრუნებლად გამზადებულ კონსტანტინე მაჰმადყულიხანს ცხენზე შეჯდომისას დასცეს ხანჯალი და მოკლეს. იუსუფ-ფაშას ბრძანებით კახთა მეფე თავისი ამალით ვერაგულად ამოჟლიტეს. თვით ალავერდელი ტყვედ შეიპყრეს და იუსუფ-ფაშას ბრძანებით თავი მოჰკვეთეს.

ამ ამბავს ვახუშტი 1729 წლით ათარიღებს: "...არამედ აღმოჩნდებოდა რა, განგებითა მაჰმადიანთა მესამეოჩრდილმან ისაყ-ფაშისაგან და მოკლეს მაჰმად-ყულიხან ქ~სა ჩ~ღკთ, ქარ. უ~იზ. ხერზე მოუვიდნენ ოსმალნი კახთა, მოუწყვიდნეს და ტყვე-ყვნეს ნიადაგნი, შეიპყრეს ალავერდელიცა და ჩეკაშ ერისთავი, რომელიცა ელოდვილი მაჰმად-ყულიხანისა თანა იყო და წარჰკვეთნეს თავნი წინაშე ისაყ-ფაშისა, ეგრეთვე მაჰმად-ყულიხანს და სხუათაცა ძრავალთა, და წარუღინეს ისაყ-ფაშას და მან წარგზავნა წინაშე ხონთქრისა" (16, გვ. 624–625). კონსტანტინეს დაღუპვის თარიღად "1729 წელს იზიარებენ ს. კაკაბაძე, მ. ბროსე, ი. ჯანაშვილი, ს. ჩიქოვანი, ვ. ნატროშვილი. იგივე თარიღია მითითებული ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას მიერ "საქართველოს ისტორიაში" შედგენილ (1946 წლის გამოცემა, გვ. 375), ხოლო 1953 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან" ნ. ბერძენიშვილი წერდა: "კახეთის მეფე კონსტანტინე ბევრს ეცადა, მაგრამ ისე დაიღუპა (1732 წელს), რომ ოსმალეთთან მორიგების პირი ვერ გამონახა" ("მიმომხილველი" ტ. III, გვ. 84). ომან ხერხეულიძე კონსტანტინეს სიკვდილის თარიღად 1733 წელს მიიჩნევს, ხოლო სეხნია ჩხეიძე – 1732 წელს" (76). გიორგი ლეონიძის აზრითაც (76) კონსტანტინე ოსმალებს სწორედ 1732 წელს უნდა მოეკლათ. ჩვენ გიორგი ლეონიძის ამ

მოსაზრებას ვეთანხმებით და ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება, აქ მოვიტანოთ კიოლეი ლეონიძის მიერ გამოქვეყნებული ყველა ის არგუმენტი, რითაც მტკიცდება, რომ კონსტანტინე ოსმალებმა ბეყან--ბალთან სწორედ 1732 წელს მოკლეს ღალატით: კახბატონი კონსტანტინე 1731 წელსაც რომ ცოცხალია, ეს კარგად ჩანს ზემოთ მოტანილ - 1731 წლით დათარიღებული არაგვის ერისთავის ბარძიმის წერილიდან ჩვენი მეფე ვახტანგ VI-ეში, რომელშიც ლაპარაკია კახ ბატონ კონსტანტინეზე: "კახ-ბატონმა ფაშასთან დაჰკაზმებლა", "კახ-ბატონს კარგლები გამოუგზავნა", "ისაყ-ფაშასთან რომ ჩავედ, კახის ბატონის მეწლობა გადმეყუდა", "კახმა ბატონმა არ მეიკყო"..., "კახბატონს ეზნიმარი გაუტყვა და სხვა" (47, გვ. 190-191).

ასევე 1733 წლის წერილში მიღებულ და ჩვენი აზრით 1732 წლის მიწურულს დაწერილ წერილში ბარძიმ ქსნის ერისთავი ვახტანგ მეფეს სწერს კონსტანტინეს შესახებ: "თათრები და კახბატონი მომადგნენ"... "მე ეს მეჯავრება. კახბატონი სწერს ბანდ (რუსეთს - ნ.ს.) წიგნსა: ჯარი მიშველე და მე მეყმობას შენთვის გავიმეტო". "ეს მძლავრ ჯავრიანდა, რომ გაიგონეს ღმერთი და ჯარი რისცენ ამ მანდიანს (კონსტანტინეს - ნ.ს.) არ შეიძლოს რამე, რაცა უნდა ექნას.. სულ დავიკარგებით" (47; გვ. 205-206).

კონსტანტინე 1732 წელსაც რომ ცოცხალია, ეს კარგად ჩანს თვით კონსტანტინეს მიერ 1726 წლის 25 მარტს ჯანდიერიშვილებისათვის გაცემული სიგელიდან, რომელსაც 1732 წელს კონსტანტინე ხელახლა უმტკიცებს: "რადგან ჩვენი და ძველთაგანი ბატონი ლევან (მეფე იასეს ძეული) მეფე ჩამიღვრია, კიდევ ხელახლა გამიძღვა ერთის სამთავრის მიურობა, - თქვენ მსახურსა და ჩვენი ერთ სახლთუხუცესის საყაზმინებლისათვის (ჯანდიერის შვილებმ) შეყადობა ვიცით, რარიგადაც პირველ თქვენ ამ სიგლის მიერთავა გვიწყალობა, იმავე წესით, ახლაც იმავე გვიმთხრობა ყოვლის კავისაგან შეიღობილათ..

დაიწერა ბრძანება და წიგნი ესე ქრონიკონს უკ (1732 წ.) ენკე-ნისთვის კ (20)". (იხ. ცს. ა. ფ. 5562; "საქართველოს სიძველენი" III ტ. გვ. 150; გ. ლეონიძე - ლიტერატურული გაზეთი 22/VII-1955 წ.) სიგელს ამის მეფე კონსტანტინესა და დედოფალ ფეჰრიჯან-ბეგუ-მის ბეჭდები.

მაშასადამე, 1732 წლის 20 ენკენისთვეს (სექტემბერს) კახთ ბატონი კონსტანტინე ჯერ კიდევ ცოცხალია, საქმეებს განაგებს და ბრძანებასაც წერს თავისი მოხელის სახელზე.

ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომში სეხნია ჩხეიძე წერს, რომ "ქრონიკონს უკ, ქრისტეშობის-თვის კზ (1732 წლის 27 დეკემბერი) მოვიდა სტამბოლიდამ უსუფ-ფაშა ქალაქს და გა-ილაშქრა კახეთს" (40, გვ. 43). როგორც ცნობილია, სეხნია ჩხეიძე მოვლენებს, საერთოდ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს და ამიტომ მისი ცნობა კონსტანტინე კახთბატონის სიკვდილის თარი-ღის გამო, რომელიც სწორედ ზემოთ დასახელებულ ამბავს მოსდევს, ვფიქრობთ, ზუსტია და სიმართლეს შეესაბამისება: "ამავ თვეს კჟ, შემოეყარა კახი ბატონი უსუფ-ფაშასა მეჯანბაღს. იქით ის (ფაშა-ნ.ს.) აქეთ ეს (კონსტანტინე) ცხენით გარდაიჭრა კახი ბატონი, აქეთ ფაშა ჩამოხდა, მიესალმეს, ერთმანეთს გარდეხვივნე. ფაშა შეჯ-და ცხენს, გამოუნდა კახი ბატონი: ამის დროს უღალატეს და მოკლეს ბატონი, წაესივნენ კახთა, ამოსწყვიტეს კახნი, ვინც გაიქცა მორ-ჩა: წაიღეს ფაშა ყარაღაჯში, შემოეყარა სურხაი: ესე იყო ლეკი და ხრმით დაიჭირა შირვანი, გავიდნენ ბაღბა-მხარეს, ააოხრეს გა-ვაზი და შილდა" (40, გვ. 44). ე. ი. ს. ჩხეიძე კახთბატონის ღალატ-ურ მკვლელობას 1732 წლის 28 დეკემბრით ათარიღებს. ამ თარიღს უჩვენებს მხარის "ვარელი ქრონიკაც" (50, გვ. 16). ზარეულ ქრონიკაში კონსტანტინეს მოკვლის ამბავი აღნიშნულია ჰიჯრის 1145 წლის (1732 წლის 13/VI-დან 1733 წლის 2/VI-მდე) რაჯების თვის 23-ს,

რაც შეეხება 1732 წლის 30 დეკემბერს. ამრიგად, ს. ჩხეიძე და ფარიელი ქრონიკა კონსტანტინეს სიკვდილს ათარიღებენ 1732 წლის დეკემბრის ბოლოს. ს. ჩხეიძე – 28 დეკემბრის, ფარიელი ქრონიკა – პარასკევს 30 დეკემბერს.

ამ თარიღს ადასტურებს აგრეთვე 1733 წლის სოლალის ციხეში მყოფი რუსეთის წარმომადგენლის მეჩნიკ ლევაშოვის ცნობებიცა, რომლითაც იგი რუსეთის მთავრობას აცნობებს საქართველოს საქმეთა მდგომარეობას და კონსტანტინეს სიკვდილის ამბავსაც, როგორც ახალ ამბავს. შემდგომდროინდელი ლევაშოვი მთავრობას უგზავნის ისპაანთა ახალ საჯაროებს, რაც შეეხება კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ ქართლის დაპყრობას და შემდეგ ოსმალთა შეჭრას ყაბარდოში (47, გვ. LXXXIV).

იმავე 1733 წლის რუსეთში მყოფი ვახტანგ მეფე რუსეთის მთავრობას აცნობებს კონსტანტინეს სიკვდილით გამოწვეულ საქართველოს მდგომარეობას, რომლისაც ვახტანგს თავისი ძმა ბაქარიძეთ, ჭდეგო დარჩენილი ქართველობა ითვლება საქართველოში და უჩვევად ხელსაყრელი ჟამის გამოყენებას 2-3 რეხელი კოდის დაბრძანებით. ოჯახური წერილში კატალიკოსი ითვლება ვახტანგს და ბაქარს: "ეს არის ბნელი და ჟამი... ადექით, აღდექით, ნუ აყოვნებთ, თავად ორივე წამობრძანდით უეჭველად, თუ არა ბვიალი კავშირდებიან, წინააღმდეგი არავინ არის" (47, გვ; 198).

ყოველ ფაქტს ბევრი მოყვანილი საბუთიდან. ჩვენ ხელთ გვაქვს კონსტანტინეს ბოლო გამოცემული ბრძანებები, რომლებიც თარიღდება 1722 – 1733 წლებით. მაგალითად: ს, Hd 2243; Hd 14155; Hd 14211; ბ – ფ. 1451, ღ. 13. ს. 43; ფ. 1450, ღ. 13, ს. 226; ფ. 1450, ღ. 13, ს. 227 და სხვა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ყველა ეს საბუთი 1733 წლამდეა დათარიღებული, რადგანაც კონსტანტინე გარდაიცვალა იანვრამდე 1732 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში. 1733 წლის დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეისიდან კი კახეთის სამეფოს ყველა საბუთში ჩანს მხოლოდ კონს-ტანტინეს უმცროსი ძმა თეიმურაზი, შემდეგში თეიმურაზ II.

ამგვარად, კახთ ბატონ კონსტანტინეს სიკვდილის თარიღად, ზე-მოთ მოტანილი არგუმენტებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ უნდა დადგინ-დეს 1732 წლის დეკემბერი.

კონსტანტინესა და მისი ამალის ვერაგულად დახოცვის შემდეგ სურხაი-ხანმა კახეთის გაღმა მხარე დაარბია, კონსტანტინეს ძმა თეიმურაზი-კახეთის ტახტის მემკვიდრე ფშავში გაიქცა. მთელი კახე-თი ოსმალებმა დაიპყრეს და აქაც ისევე, როგორც ქართლში ადგილობრი-ვი ქართული ადმინისტრაციული ხელისუფლება გააუქმეს და კახეთის მმართველად დასვეს თავიანთი წარმომადგენელი ესუფ-ფაშა (ისაყ-ფაშას ვაჟი). ოსმალებმა თელავის ციხიდან გამოიყვანეს კონსტან-ტინე მეფის ასულები, შემუსრეს შილდის, ყვარლისა და გავაზის ციხეები, მრავალი ქართველი დაატყვევეს და ოსმალეთში გაგზავნეს, ყარაღაჯის ციხე გაამაგრეს და შიგ ოსმალთა ჯარი ჩააყენეს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსმალეთის ხელში მოქცეული ყარაღაჯის ციხე გარკვეულად ზღუდავდა ლეკ-ჭარელთა თავდასხმებს ქართლ-კახეთზე. საერთოდ, ოსმალებს ამ დროს სურდათ არა მარტო კახეთის დაპყრობა, არამედ ლეკების ალაგმვაც, მართალია, მათ დროებით და-ამარცხეს კიდეც ლეკები, ერთგვარ წარმატებასაც მიაღწიეს ირანსა და ამიერკავკასიაში, მაგრამ საბოლოოდ თავიანთი მიზანი – ლეკთა თარეშის ალაგმვა საქართველოში მაინც ვერ განახორციელეს.

XVIII ს. 30-იან წლებში ქართლ-კახეთი უკიდურესად მძიმე მდგომა-რეობაში აღმოჩნდა. ქვეყანა ერთის მხრივ ოსმალების ბატონობასა და მეორე მხრივ ლეკების თავდასხმების გამო სულს ღაფავდა: "რო-გორც ქართლში, ისე კახეთში, მოსახლეობა ამ დროს მთლად გაჭირვე-ბის პირას იმყოფებოდა. ქართლში ოსმალთა პარპაშისას და ფეოდალთა ურთიერთშორის ანდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას თან დაემატა

ლეკთა თარეში გუნდ-გუნდად. ათას კაცამდე ან მეტ-ნაკლებად ლეკნი მიუდგნენ ქვეყანას. ქართლის ცენტრალური და ყველაზე უფრო დასახლებული ადგილები მთლად გაავერანდა. ურთიერთმტრობის გამო გამწირდა ტყვის სყიდვა, რაც უკანასკნელს ხელს ართმევდა ისედაც სიღარიბის პირზე მისულ ხალხს. ასეთსავე მდგომარეობაში იყო კახეთი, ლეკთა რბევის გამო მრავალი სული გაწყდა, მრავალი დატყვევდა, ზოგი დანარჩენთაგან ბევრმა წლობით ძალადობისაგან თავის დასაღწევად აირჩია მაჰმადიანობაში გადასვლა. მთელი ქიზიყი და ალაზნის გაღმა მხარე სამუდამოდ გაპარტახებისა და გადასახლების გზაზე იყო დამდგარი. მხოლოდ უსიმაგრესი ნაწილი, ისიც უმეტესწილად თავად-აზნაურობა, ჯერ კიდევ მედგრად იცავდა მამა-პაპურ საქრისტიანობას და ეროვნებას. ჩრდილოეთი ნაწილი კახეთისა კი მთლად სიმაგრეებში იყო გახიზნული (71, გვ. 152).

აი ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კახეთი კონსტანტინე მეფის დაღუპვის შემდეგ. ფაქტში კახიზნულიდა თეიმურაზ მეორე ჩადაპიყვანა რუსეთში გამგზავრებულ ვახტანგის სამხრეთიდან, ვინაც კახელთა დარჩენილი თავადების შემდეგ იგი შემოვიდა თელავში იამრებდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად უდიდესი ახალი მძიმე მდგომარეობისა, ვერც ქართლში და ვერც კახეთში ოსმალებმა დამკვიდრება ვერ გაიმაგრეს. კახეთი ბატონიშვილის ცნობით: - "ერთ ფაშას აქირდა კახეთი მიდგმული ჭირისაგან, ვინაა სახელიდა თავის და ვერა რის მოქმედებითა"... (16, გვ. 625). ისაყ ფაშა ეძლევს გამოიყენოს თეიმურაზის ადგილისაში, მას იბარებს თავისთან, ავალებს უფალი სამსახურს და ამტკიცებს თელავში ერთ ფაშისთან ერთად კახეთის გამგებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბაშიძე თ., "ორენოვანი საბუთების სპარსული ნაწილების დიპ-ლომატიკური თავისებურებანი". მაცნე, - ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. № 2, თბ., 1974 წ.
2. ბერი ეგნატაშვილი, "ახალი ქართლის ცხოვრება", გამოცემული ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1940 წ.
3. ბერძენიშვილი ნ., "დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთი-ერთობის ისტორიიდან", წიგნი I, თბ., 1953 წ.
4. ბერძენიშვილი ნ., "დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერ-თობის ისტორიიდან", წიგნი II, თბ., 1953 წ.
5. ბერძენიშვილი ნ., "მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიი-სათვის", წიგნი II, თბ., 1953 წ.
6. ბერძენიშვილი ნ., "მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიი-სათვის", წიგნი III, თბ., 1955 წ.
7. გურამიშვილი დ.: თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980 წ.
8. გურჯიზადე, "თბილისის დაპყრობის წიგნი", გამომცემლობა, "მეც-ნიერება", თბ., 1975 წ., თარგმანი ციალა აბულაძისა. იმავე წიგნში იხილეთ "ცნობები ქუჩუქ-ჩელები ზადეს ისტორიიდან".
9. დოლიძე ი., "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. II, თბ., 1965 წ.
10. " ტ. III, თბ., 1970 წ.
11. " ტ. IV, თბ., 1972 წ.
12. " ტ. VI, თბ., 1977 წ.
13. " ტ. VII, თბ., 1981 წ.
14. " ტ. VIII, თბ., 1985 წ.
15. დონდუა ნ., "ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები", (XVII-XVIII სს.), თბ., 1984 წ.
16. ვახუშტი ბატონიშვილი, "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი სიმონ ყაუხჩიშ-

ვილის მიერ, თბ., 1973 წ.

17. ვახუშტი, "ისტორიული ატლასი", ტფილისი, 1914 წ.

18. თაყაიშვილი ექ., "საქართველოს სიძველენი", ტ. I, თბ., 1899 წ.

19. " ტ. II, თბ., 1909 წ.

20. " ტ. III, თბ., 1910 წ.

21. იოსელიანი ა., "საქართველოს ისტორიის ქრონიკები". თბ., 1950წ.

22. იოსელიანი ა., "დოკუმენტები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში თავად როსებ კორიგას ის მეთაურობით". საქართველოს რესპუბლი-კის შინაგან საქმეთა სამმართველოს საისტორიო მოამბე II 2, თბ., 1946 წ.

23. კაკაბაძე ს., "ისტორიული საბუთები", წიგნი I, ტფილისი, 1913წ.

24. " წიგნი V, ტფილისი, 1913წ.

25. მაისურაძე გ., "ესაი ჰასან ჯალალიანის ნაშრომი "აღვანების ისტორია", ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის შესა-ხებ, - წიგნში: - საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღ-მოსავლეთის ისტორიის საკითხები. გამოც. "მეცნიერება", თბ., 1968 წ.

26. რუხაძე გ., "მასალები მე-18 ს-ის 20-იანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის", მასალები საქართველოსა და კავკასი-ის ისტორიისათვის, ნაკვეთი 33, თბ., 1960 წ.

27. ოსმალეთ თავერის ცნობები საქართველოს შესახებ. ვ. ფუთურიძის თარგმანი, თბ., 1964 წ. (მასალები საქართველოსა და კავკასი-ის ისტორიისათვის, ნაკვ. 30).

28. ოვან ზედავაჩბეს ხურცელიძის "მეფობა იოანე მეორისა, ალიშე-ნაშის ძისა". ქართლის ცხოვრება დასაბამიდგან XIX ს-დის. ნაწილი II, გამოცემული ბროსეთისაგან, სპ. 1854 წ.

29. ორბელიანი პაპუნა, "ამბავი ქართლისანი", ქართლის ცხოვრება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწ. II, ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854.

30. ჟორდანია თ., "ქართლ-კახეთის პოლიტიკისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები". ტფილ, 1903 წ.

31. ჟორდანია თ., "ქრონიკები" ტ. III, თბ., 1967 წ.

32. საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წ-დან 1800 წ-მდე. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913 წ.

33. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი.

34. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

34 ა. ქილაბაძე იესე "ვაქირიანი", გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, თბ., 1962 წ.

35. უჩანეიშვილი დ., "დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის" (XVII-XIX სს.). თბ., 1967 წ.

36. ფუთურიძე ვ., "სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში", წიგნი I, ნაკვეთი 4, თბ., 1977 წ.

37. ფუთურიძე ვ., "ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები", თბ., 1955 წ.

38. ფურჩევი ი., ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა ს. ჯიქიამ, თბ., 1964 წ.

39. ქუთათელაძე ლ., "ვახტანგ ორბელიანის უცნობი ისტორიული პოემა "შეჭირვებანი ქართლისანი". მრავალთავი I, თბ., 1971 წ.

40. ჩხეიძე სეხნია, "ცხოვრება მეფეთა" საქართველოს ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913 წ.

41. ჭიჭინაძე თ., "უცხოელი ავტორები საქართველოსა და საქართველო-ირანის ურთიერთობის შესახებ" (XVII ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში), თბ, 1983 წ.

42. ხუბუა მ., "საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და რაყამები", თბ., 1949 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



43. ჯავახიშვილი ივ., "საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები" ტ. I, თბ., 1967 წ.

44. ჯავახიშვილი ივ., "საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები" (XVII-XVIII სს.), წიგნი II, 1974 წ.

45. Акты собранные Кавказской археографической комиссией, т.I, под редакцией Ад.Берже, Тф., 1866 г.

46. Армяно-русские отношения в первой трети XVIII века. (Сборник документов). Под редакцией и предисловием А.Иоанесяна, Ереван, 1964 г., т.II, ч.II.

47. Броссе Мари, "Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями с 1639 по 1770 гг. СПБ, 1861 г.

48. Бутков П.Г. "Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг.", ч.I, Санкт-Петербургъ, 1869 г.

49. Магомедов Р.М. "История Дагестана". Махачкала, 1961 г.

50. Хроника войн Джара в XVIII столетии, под редакцией В.Хулуфлу, Бака 1931 г.

## ლიტერატურა

51. აკოფაშვილი გ., "აზნაურთა ფენა XV-XVIII სს. ქართლში", ჟურნალი "მაცნე", თბ., 1968 წ., N 3.

52. ასათიანი ნ., "ფეოდალურ საქართველოში გლეხობის ბრძოლის ისტორიიდან". საქ-ს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.XXIII, N 2, 1959 წ.

53. ასათიანი ნ., "კახეთი [illegible] II-ის მეფობის დროს (1564-1575 წწ.)". კრბ., საქართველო და აღმოსავლეთი. მეცნიერება, თბ., 1984 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



54. ასათიანი ნ., "მასალები მე-17 ს-ის საქართველოს ისტორიისათვის", თბ., 1973 წ.

55. ასათიანი ნ., "გლეხობა XVI–XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში", სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1960 წ.

56. ასათიანი ნ., "სასაფლოდაწერილი ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI–XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში", უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, თბ., 1959 წ.

57. ბერძენიშვილი ნ., "საქართველოს ისტორიის საკითხები", წიგნი II, თბ., 1965 წ.

58. " III, თბ., 1966 წ.

59. " VI, თბ., 1973 წ.

60. ნ. ბერძენიშვილი, მ. დუმბაძე, ვ. დონდუა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, "საქართველოს ისტორია" (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958 წ.

61. ბოცვაძე თ., "საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან", (XV–XVIII სს.), თბ., 1968 წ.

62. გაბაშვილი ვ., "ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში", თბ., 1953 წ.

63. გაბაშვილი ვ., "სათავადო გამოსაღებელი გვიანფეოდალურ საქართველოში". კრებული მიმომხილველი III, თბ., 1953 წ.

64. გვრიტიშვილი დ. "ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან". თბ. 1955 წ.

65. გვრიტიშვილი დ., "ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან", ტ. III, თბ., 1968 წ.

66. გოგოლაძე დ., "სათავადოს ფეოდალური საკუთრების ფორმების საკითხისათვის", საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კრებული, წიგნი V, თბ., 1986 წ.

67. ვიგოლაძე ლ., "ქართული ფეოდალური სათავადოების არსისა და ისტორიული არეალის საკითხისათვის", "მაცნე" (ისტორიის სერია), N 3, 1988 წ.

68. დოლღუა ვ., "ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან" (1712-1745 წწ.), კრებული "მიმომხილველი", III, თბ., 1953 წ.

69. ჯონქუა ვ., "დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია", თბ., 1959 წ.

70. ლუმბაძე ნ., "აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან", თბ., 1953 წ.

71. კაკაბაძე ს., "საქართველოს ისტორია" ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ), თბ., 1922 წ.

72. კაკაბაძე ს., "კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ", თბ., 1920 წ.

73. კეკელიძე კ., "XVIII ს-ის ქართული ლიტერატურული ისტორიიდან", ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, 1957 წ.

74. ლომიძე ლ., "აღმოსავლეთ საქართველო 1735-1749 წლებში (ყიზილბაშობა)". სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1986 წ.

75. ლომიძე ლ., "1735-1744 წლების ქართლისა და კახეთის მმართველობისთვის", მრავალთავი, VIII, 1980 წ.

76. ლეონიძე გ., "კონსტანტინე კახთბატონის სიკვდილის თარიღის გამო". ლიტერატურული გაზეთი, თბ., 1955 წ. 22/VII

77. მაჭარაძე ვ., "მასალები XVIII ს-ის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის", წიგნი II, თბ., 1968 წ.

78. მესხია შ., "საისტორიო ძიებანი", ტ. II, თბ., 1983 წ.

79. ნაჭრომიშვილი გ., "ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი". ქუთაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

"მნათობი", 1976 წ. № 1.

80. ნადირაშვილი გ. ჩიქოვანი ს., "რამე დავით გურამიშვილის დაბა-დების თარიღზე". ლიტერატურული გაზეთი, თბ., 1955 წ. 1/VII.

81. პაიჭაძე გ. "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის", თბ., 1960 წ.

82. პაიჭაძე გ., "ვახტანგ მეექვსე". თბ., 1981 წ.

83. პაიჭაძე გ., "მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის". (1660-1685 წწ), საისტორიო მოამბე, ტ. 23-24, თბ., 1970 წ.

84. პაიჭაძე გ., "ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს-ის 50-60-იან წლებში, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. II, 1973 წ.

85. პაპაშვილი ნ., "საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XVIII ს-ის I ნახევარში", სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1986წ.

86. პაპუაშვილი თ., "ჭარ-ბელაქანი", თბ., 1972 წ.

87. ჟურნალი "დროება", 1866 წ. № 43, მგზინავაძე.

88. რატიანი ლ., "აღმოსავლეთ საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარება XVIII ს-ის 40-50-იან წლებში", მრავალთავი VI, 1978 წ.

89. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973 წ.

90. სვანიძე მ., "დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი"; ჟურნალი "მნათობი", 1980 წ. № 12.

91. ტუხაშვილი ლ., "რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოში" (XVIII ს-ის II ნახ), თბ., 1983 წ.

92. ქავთარია მ., "მავრიკიონშა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია" (XVII-XVIII სს.), მრავალთავი VI, 1978 წ.

93. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



94. ქართველიშვილი ი., ხარაძე კ., "კახეთის სამეფოს მოსახლეობის რეტროსპექტული კარტოგრაფირება (XVIII ს-ის პირველი მეოთხედი)", "მაცნე", 1989 წ., N 1.

95. ქიქოძე გ., "ერეკლე მეორე", თბ., 1982 წ.

96. ქიქიძე მ., "ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა", თბ., 1988 წ.

97. ჯავახიშვილი ივ., "ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა", თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977 წ.

98. ჯავახიშვილი ივ., "ქართული სამართლის ისტორია", თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, 1984 წ.

99. ჯამბურია გ., "ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან". თბ., 1955 წ.

100. ჯამბურია გ., "სათავადოთა საკითხისათვის". საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. წიგნი I, თბ., 1970 წ.

101. ხანთაძე შ., "ქართული ისტორიოგრაფია XVIII ს-ში", თბ., 1985 წ.

102. Абрамян А.Г., Документы из истории совместной борьбы народов Закавказья против турецких агрессоров в первой четверти XVIII века. Вопросы истории, 1964, № 2, с. [illegible]5.

103. Восканян В.К., Д[illegible]оян З.А., "Политика России в Закавказье в 20-х годах XVIII столетия. Историко-филологический журнал АН Армянской ССР", №2,(25), Ереван, 1964 г.

104. Какабадзе С., "Крестьянский вопрос и крестьянские движения восточной Грузии в XVIII века". Сб. История классовой борьбы в Закавказье. 1930 г.

105. Пайчадзе Г., "Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века". Тб., 1970 г.

106. Смирнов Н.А., "Описание о бунтах 1730 и 1731 годах в Константинополе". Археографич. ежегодник за 1960 г., М., 1962г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გარცემლიძე.

ნაბეჭდი თაბახი 4,5

სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 2,83

ფასი სახელშეკრულებო

შეკვეთა N 325 ტირაჟი 500

---

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, წულუკიძის ქ. N7

СОЛОГАШВИЛИ НАНА ВАЛИКОЕВНА

# КАХЕТИНСКОЕ ЦАРСТВО В ПЕРИОД КОНСТАНТИНА МАХМАД-КУЛИ-ХАНА (1722-1732)

/На грузинском языке/

Издательство Тбилисского университета,

Тбилиси, 1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა